საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

სამშაბათი, 30 აპრილი, 2013 წელი.

№80 (7207)

იმისთანა წმინდა საქმეში, რომელიც ბოჭდეული სიფცვაა, ფცუილებით და ჭირებით ბუნების გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.

2008 წელს მოხდა ეთნიკური წმენდა და ეს დადასტურებულია არაერთ საერთაშორისო დოკუმენტში

②

ევროპელებმა ზუსტად გაიგეს, თუ რა არის ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკური წარმატების ფორმულა ③

ქვეყანა იყოს კარგად, თორემ უხეირო პრეზიდენტი წყალსაც წაუღია! ③

ლოჭი — ანჭილოჭი ⑥

საქართველოს სახიფათო დრეიფი ნატოს მიმართულებით ⑧

საჩუქარი ბავშვებს და აურზაური საწიგნეთში

ჩვენ ქართულ საქმეს ვაკეთებთ

ამისთვის უდავოდ მადლობას იმსახურებს „მაგთი“ ⑦

თამბაქო — რეკლამირებული სიკვდილი ⑦

⑤

რასაც ჩვენს გაზეთში წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!..

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

◎ პრემიერ-მინისტრი

2008 წელს მოხდა ეთნიკური წმენდა და ეს დადასტურებულია არაერთ საერთაშორისო დოკუმენტში

2013 წლის ივნისისთვის დაგეგმილი ჩრდილოატლანტიკური საბჭოს მესამე ვიზიტი საქართველოსა და ნატოს შორის განსაკუთრებული ურთიერთობების დადასტურებაა, – ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ბიძინა ივანიშვილმა სასტუმრო „ქორთიარდ მარიოტში“ მიმდინარე როუზ-როსის სემინარზე სიტყვით გამოსვლისას განაცხადა.

მისი თქმით, ქართველი ხალხი არასოდეს დაივიწყებს ჩრდილოატლანტიკური საბჭოს მხარდაჭერას, რომელიც გამოიხატებოდა 2008 წლის აგვისტოს ომის მერე ვიზიტში.

საქართველოს პრემიერის განცხადებით, 2008 წელი უმძიმესი იყო საქართველოსთვის, რა დროსაც მოხდა ქვეყნის ტერიტორიების 20%-ის ოკუპირება რუსეთის მიერ.

ივანიშვილის განცხადებით, მოხდა ეთნიკური წმენდა და ეს დადასტურებულია არაერთ საერთაშორისო დოკუმენტში.

პრემიერი საფრანგეთის წარმომადგენლის კითხვას გამოეხმაურა, რომლის თანახმადაც, რუსეთთან ურთიერთობის დარეგულირებაში ხომ არ აქვს საქართველოს მთავრობას რაიმე მაგიური რეცეპტი.

ივანიშვილის განცხადებით, არსებობს ამის რეცეპტი, თუმცა შეიძლება ეს არ იყოს მაგიური.

მისივე თქმით, პირველ ეტაპზე რაც მოხერხდა ეს არის სავაჭრო ურთიერთობებისა და კულტურული ურთიერთობების დაწყება. პრემიერი მიიჩნევს, რომ მისი გაღრმავება მნიშვნელოვანია.

პრემიერს რეალურად არ მიაჩნია, რომ მალე აღდგება ტერიტორიული მთლიანობა და რუსეთთან ურთიერთობები დალაგდება. თუმცა, აღნიშნა, რომ ეს დროში აუცილებლად მოხერხდება. პრემიერი აცხადებს, რომ მთავარი რეცეპტი არის ქვეყანა საინტერესო გახდეს ეკონომიკურად.

არც ერთ ჩემს განცხადებაში არ გამიკეთებია პირდაპირი აქცენტი, რომ წინა ხელისუფლება ტერორისტებთან თანამშრომლობდა. ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი ბარამიძის კითხვის საპასუხოდ განაცხადა.

როგორც პრემიერ-მინისტრმა განმარტა, მან ეჭვი გამოთქვა, ხოლო ეჭვის საფუძველი მისთვის არსებობს.

– ამას მტკიცებულების ფორმა არა აქვს. ამ საკითხზე მიმდინარეობს გამოძიება, ბევრი გაუგებარი რამ მოხდა ლაფანყურში. ეჭვის საფუძველი გამაჩნია, თუმცა ეჭვი არ არის მტკიცებულება. თქვენი დარწმუნება ვიცი, რომ ძალიან ძნელია, მაგრამ ვარწმუნებ საზოგადოებას, რომ არც ერთ შემთხვევაში ეს განცხადებები არ დააზიანებს ჩვენს ურთიერთობებს გლობალურად არც ერთ სახელმწიფოსთან, რამეთუ, ჩვენ უნდა ვიცხოვროთ სამართლიან გარემოში და სიმართლეზე იყოს დაფუძნებული ჩვენი მოღვაწეობა, – აღნიშნა მან.

მისივე თქმით, „ნაციონალური მოძრაობა“ აგვისტოს ომთან დაკავშირებით საზოგადოებას სრულიად სხვა ვერსიას სთავაზობს, თუმცა, ტალიავინის გამოძიება „ნაციონალური მოძრაობისეული“ ვერსიისგან ძალიან განსხვავდება.

– მთელმა მსოფლიომ გაიგო ტალიავინის გამოძიებიდან თუ რა მოხდა 2008 წლის აგვისტოში. აბსოლუტურად განსხვავებული ვერსია გაგაჩნიათ თქვენ და განსხვავებულს უმტკიცებთ მოსახლეობას. ამით გარწმუნებთ თქვენ ვერ აამაღლებთ ქვეყნის იმიჯს, – აღნიშნა ივანიშვილმა გიორგი ბარამიძის საპასუხოდ.

შეგვიძლია ნატოში შემოვიდეთ, ბატონებო?

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს აინტერესებს პასუხი კითხვაზე, როდის შევა საქართველო ნატოში. ამ კითხვით დავით უსუფაშვილმა ნატოს საპარლამენტო ასამბლეის სემინარის მონაწილეებს მიმართა. პარლამენტის თავმჯდომარემ საქართველოში მთავრობის ცვლილების შემდეგ გატარებულ რეფორმებსა და მიღებულ საკანონმდებლო ცვლილებებზე ისაუბრა.

როგორც დავით უსუფაშვილმა აღნიშნა, მთავრობა შეიცვალა, თუმცა ქვეყნის პრიორიტეტები უცვლელი დარჩა. დავით უსუფაშვილმა ხაზი გაუსვა იმ რეზოლუციასაც, რომელიც საქართველოს პარლამენტმა უმრავლესობისა და უმცირესობის შეთანხმების შედეგად საგარეო პოლიტიკური პრიორიტეტების მიმართულებებით მიიღო. პარლამენტის თავმჯდომარემ ამ დოკუმენტს მნიშვნელოვანი უწოდა და აღნიშნა, რომ ქვეყანას ჯერ კიდევ აქვს სერიოზული პრობლემები კოჰაბიტაციის პროცესში, ისევე როგორც ყველა ახალგაზრდა დემოკრატიას.

– ჩვენ გავაგრძელებთ დემოკრატიულ რეფორმებს, რომ საქართველოში დამყარდეს მრავალპარტიული დემოკრატია, რადგან გვჯერა, რომ ეს არის დემოკრატიის ერთადერთი მდგრადი ფორმა. ჩვენ დამოუკიდებლად ვებრძვით სირთულეებს, თუმცა, მათ დაძლევაში ჩვენი მეგობრების დახმარებაც გვჭირდება. მინდა, ჩემი გამოსვლა დავასრულო ერთ ისტორიულ პროცესზე ხაზგასმით – ნატოს კარზე 10 წლის წინათ პრეზიდენტმა შევარდნაძემ დააკაკუნა, დაახლოებით 5 წლის პრეზიდენტ საკაშვილს უთხრეს, რომ ეს კარი ღიაა. დღეს კი ჩვენ, მე და პრემიერ-მინისტრს გვაინტერესებს პასუხი კითხვაზე – შეგვიძლია, შემოვიდეთ? გთხოვთ, ადრე თუ გვიან, ამ კითხვაზე გაგვეცით პასუხი, – აღნიშნა დავით უსუფაშვილმა.

ინტერპრესი

◎ კანონმდებლები

უსუფაშვილი პრეზიდენტის შენიშვნებს არ იზიარებს

როგორც დავით უსუფაშვილმა განაცხადა, პარლამენტი მიმდინარე კვირას კენჭისყრაზე დააყენებს კანონპროექტების პრეზიდენტის მიერ ჩასწორებულ ვარიანტებს.

როგორც პარლამენტის თავმჯდომარემ აღნიშნა, იმ შემთხვევაში თუ პარლამენტი ამ შენიშვნებს დაეთანხმა, კანონები მიღებული იქნება იმ სახით, როგორც პრეზიდენტმა ჩაასწორა, ხოლო თუ არ დაეთანხმა, დადგება ვეტოს დაძლევის საკითხი.

– პარლამენტს ამისთვის დღეის მდგომარეობით 89 ხმა სჭირდება. თუ ვეტოს მხარს დავუჭერთ, ამით კანონზე პარლამენტის მუშაობა სრულდება, ხოლო კანონი ხელმოსაწერად პრეზიდენტს გადაეგზავნება. თუ მან ისევ არ ინება ხელმოწერა, კანონი პარლამენტის თავმჯდომარის ხელმოწერით შევა ძალაში. მე პირადად პრეზიდენტის შენიშვნებს არ ვიზიარებ, პარლამენტი კი საკუთარ პოზიციას განხილვებზე დააფიქსირებს, – განაცხადა დავით უსუფაშვილმა.

პარლამენტის თავმჯდომარის განმარტებით, საკანონმდებლო ორგანოს არ აქვს საშუალება კანონში ერთი შენიშვნა გაითვალისწინოს, ხოლო მეორე – არა, რადგან კანონებს კენჭი ერთიანად ეყრება.

ინტერპრესი

◎ ფეისბუქიდან

წერტილოვანი ფრაზები

● „ჩემი ცოლის დაქალები“ შუალედურ არჩევნებთან შედარებით აშკარად უფრო აქტუალურია...:)))
ყოჩაღ ლიფონავა!!!

● ოცნების წარმომადგენლები ხშირად იმეორებდნენ მოსაზრებას, ნაციონალები 5%-საც ვერ გადალახავენო, მაშინ როგორ აიღო იმ უპატრონო დავითაიამ 15%! გამაგებინეთ ერთი, როგორ!!!

● ყველაზე მაგარი მეოცნებეები ღარიბები არიან!

● მეჩვენება თუ ძალიან ჩაწყნარდა ფეისბუქის საზოგადოება?.. 19 აპრილი დამთავრდა მშვიდობიანად, პრემიერმა სტრასბურგში საერთაშორისო თანამეგობრობის (საერთაშორისო მიშისტების) გამოცდა წარმატებულად ჩაატარა, იუსტიციის რეფორმაც წინ მიდის და ექს-ყოფილი პრეზიდენტის ვეტო-არ ვეტო არავის აღელვებს, 26 მაისს უაღლუმოდ არ ჩატარებას ავიტანთ, ... მოკლედ „ღამე იყო მშვიდი“... და ამ სიმშვიდესაც შევეჩვიოთ! მოდის ვნების კვირა, მძიმე მარხვა, გისურვებთ სიმშვიდეს, ერთად შევხდეთ აღდგომას განახლებული ენერგიით, სიყვარულით და მომავლის იმედით!

● ქართული იუმორიც დაბრტყელდა ამერიკულივით, თუ ადრეც ასეთი იყო? უბრალოდ ადრე პატარა ვიყავი და უკეთესი მეჩვენებოდა? ძალიან, ძალიან უსუსური და უბადრუკი ხუმრობებია, კომედიური სერიალებია თუ შოუები. აი, გული მოგიკვდება პირდაპირ. რაც მთავარია, ამ კალკასაც უწიგნურებსა და დებილურებს არჩევენ. სადმე თუ ინტელექტუალური ხუმრობა გამოერია (იშვიათად, მაგრამ არის ხოლმე) არც ელიმებათ (ანუ კადრს მიღმა სიჩუმეა) და რაღაც დებილურ „ოხუნჯობაზე“ წყდებიან სიცილით.

● მეზობლები, რომლებსაც WI-FI-ზე პაროლი არ უყენიათ, სიკვდილის შემდეგ სამოთხეში ხვდებიან. . .

● იდიოტიზმია, როცა ამომრჩეველიც ჩართულია კოჰაბიტაციურ კრეტინიზმში! ჯანმრთელი, საღად მოაზროვნე ამომრჩეველი გაამარჯვებინებდა მესამე ძალას! კორძაიაში არაა პრობლემა, უბრალოდ, ჯობდა, ოცნებას დაენახა ის, რომ პროტესტი გვაქვს, ხაზინის ქურდების კვლავ ყოფნაზე ძალაუფლებაში, ოცნების მოსვლის დღიდან მეექვსე თვის თავზე.

● კონსტიტუციაში უნდა დაემატოს შემდეგი მუხლი: არჩევნების წინ დაპირებების არშესრულების შემთხვევაში დაისაჯონ უვადო პატიმრობით!

● ზოგიერთი ნაცმაცუნას კედელზე, დიდი კრიახი და სიხარულის ყიჟინაა ატეხილი, „ობიექტივი“ იხურებაო, დიდხანს ვერ გაგახარებთ, სულ რამდენიმე დღეში, ახალი ფორმატით და უფრო დიდი შემართებით განვაგრძობთ მაუწყებლობას! ჰოპლა ჩვენ ვცოცხლობთ!!!)))))

გია გაბრიჭიძე

◎ ინფორმაცია

ვინ დატოვებს მინისტრის სავარძელს?

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ჯერ ისევ არ აკონკრეტებს იმ მინისტრის ვინაობას, ვისთანაც გარკვეული შეკითხვები აქვს.

როგორც ბიძინა ივანიშვილმა ჟურნალისტებს განუცხადა, უკვე აღარ აქვს იმედი, რომ ამ მინისტრთან ურთიერთობების დალაგება შიგნითვე მოხერხდება.

– თავის დროზე ყველაფერს გაიგებთ, ჩემი პოზიციით გაჩვენებთ გულწრფელობას და კითხვები, რომლებიც გვაქვს, გარეთ გამომაქვს. თუ ეს კითხვები, ღმერთმა ქნას, პოზიტიურად გადაწყდა, იმასაც მოგიყვებით, რას ეხებოდა ეს კითხვები და ვისთან იყო; ხოლო თუ უარესად გადაწყდა, ამასაც თავის დროზე გაიგებთ. მე დიდი იმედი აღარ მაქვს, რომ შიგნითვე მოვახერხებთ ყველაფერის დალაგებას, – აღნიშნა ბიძინა ივანიშვილმა.

◎ წკეპლიკა

პარტიის საქმე თუ მიგდის შავად – ეგების შენივ ბრალია, შალვა!

თქვენც შეამჩნევდით, ალბათ: ამ ბოლო ჟამს არასრული საქართველოს (ამ ცნებას შეგნებულად ვხმარობ ამჟამად შეუფერებელი „სრულიად საქართველოს“ საპირისპიროდ) ნომერ პირველი ლეიბორისტი გაგრძელებული პრეზიდენტის (პირდაპირი თუ გადატანითი მნიშვნელობით გაგრძელებულისა) ლანძღვას შეეშვა და პრემიერის კრიტიკა-კიცხვაზე გადავიდა; თანაც საამისოდ შემთხვევას არ უშვებს (რითაც დაემსგავსა კიდევაც გრძელოს).



აგერ ახლაც, შუალედურ არჩევნებზე ნაძალადევის რაიონში, იმისი პარტიელის დამარცხებამ (ლეიბორისტი გიორგი გუგავა მეხუთე ადგილს დასჯერდა პროცენტულად) მორიგი შანსი გაუჩინა ასაბობოქრებლად – ბიძინა ივანიშვილმა თავის ბანდასთან ერთად შეთქმულება მოაწყო ლეიბორისტული პარტიის წინააღმდეგო, ჰოდა, გყავდეთ ახლა, ნახალოვკელებო, ჰომოსექსუალისტების მოსარჩლე თამარ კორძაია პარლამენტშიო. ამ ნიშნისგებით, რა თქმა უნდა, შეურაცხყოფაც მიაყენა ათასობით ნაძალადეველ ამომრჩეველს.

პრემიერს ჩემი ვექილობა არ სჭირდება, თვითონაც დაიცავს თავს; აი, პირველ ხალხოსანს კი ჩემგანაც არ აწყენდა შეფუცხუნება: შალვა, ჩემო სიხარულო, მიხეილზე უფრო ტკბილო; სულ რომ პარტიის გარეთ გეგულება პოლიტიკური კრიზისი, წარუმატებლობის მიზეზები, ეგებ თქვენი ხაზის ტაქტიკა-სტრატეგიას ჩაუკვირდე, ეგებ პირადად შენს პარტიულ ლიდერობას ჩაუღრმავდე, რამე ხომ არ გეშლება; ისტერიული გამოსვლები, აყვირება-დაყვირება და „ოცნებისათვის“ მუშტების მოღერება მთავნაცისგანაც გვეყოფა, შენ რაღას მეორდები... აგერ, სოსო მანჯავიძეც დამარცხდა იმავე ნაძალადევში, მაგრამ ეყო ჯენტლმენობა და ვაუკაცურად მოიქცა, მიულოცა გამარჯვებულ ქალბატონს არჩევნების მოგება. ერთხელ შენც გვაჩვენე თვითკრიტიკულობის უნარი, მშვიდად მდგომარეობის გაანალიზების მაგალითი, იქნებ ესა სჯობდეს მრისხანების ფრქვევას...

თამარ კორძაიას გადეპუტატებას რაც შეეხება – შევხედოთ, რისი მაქნისია, როგორ ესმის განვითარება, წინსვლა, ახალგაზრდების ხელშეწყობა, მოხუცების პატივისცემა... ჰა ბურთი და ჰა ქუთაისი... გაკრიტიკებას მერეც და მისასაც მოვასწრებთ. ბოლოს და ბოლოს, ხომ ცნობილია – თეთრი ფრაკი, შავი ფრაკი პარლამენტში გამოჩნდება – „მეჯლისზე“...

ბერდია ბედოიძე

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

◎ შეფასება

ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეაში პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილი საკუთარ გუნდთან ერთად იმყოფებოდა. მის გამოსვლას არაერთგვაროვანი შეფასებები მოჰყვა როგორც უმრავლესობაში, ისე უმცირესობაში, თუმცა თავად პრემიერი ევროპაში სტუმრობით კმაყოფილია. ბიძინა ივანიშვილთან ერთად სტრასბურგში იმყოფებოდა „ქართული ოცნების“ აღმასრულებელი მდივანი არმაზ ახვლედიანი, რომელიც ამ ვიზიტს ასევე წარმატებულად აფასებს. ამ და სხვა საკითხებზე სასაუბროდ მას ოფისში ვეწვიეთ.

არმაზ ახვლედიანი:

ევროპელებმა ზუსტად გაიგეს, თუ რა არის ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკური წარმატების ფორმულა

— ბატონო არმაზ, თქვენი ოპონენტების აზრით სტრასბურგში პრემიერ-მინისტრის ლიბერალური ტონი რუსეთის მიმართ არც თუ სახარბიელო იყო. თქვენ როგორ აფასებთ ევროპის მთავარ ტრიბუნაზე ივანიშვილის მიერ გაკეთებულ განცხადებებს?

— ევროპის საბჭოში საპარლამენტო ასამბლეა ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი და მნიშვნელოვანი პოლიტიკური სივრცეა, სადაც საქართველოს სრულფასოვანი სტატუსი აქვს. ჩვენი ქვეყნის პრობლემებს იქ წლების განმავლობაში ყურადღებით უსმენდნენ. ეს არის, ალბათ, ყველაზე მახლობელი სივრცე საქართველოთვის. ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეაში პრემიერ-მინისტრის ვიზიტი და მისი იქ გამოსვლა გადაუჭარბებლად შემიძლია გითხრათ, რომ არის ძალიან დიდი საგარეო პოლიტიკური წარმატება. წარმატების ფორმულა კი ისაა, რომ ერთი მხრივ, პრემიერმა ევროპელ პარლამენტარებს ამცნო და მკაფიოდ გააგებინა, თუ რა მოხდა 1 ოქტომბერს საქართველოში, რატომ მოხდა და რა იმედები აქვს ახალ ხელისუფლებას. მან ეს მოახერხა ლოგიკური და მარტივი ენით. ეს შეტყობინება მისაღები და გასაგები აღმოჩნდა ევროპელებისთვის. ეს იმიტომ, რომ პრემიერის საუბრები თუ პასუხები ეფუძნებოდა სიმართლეს. სწორედ ამან განაპირობა ვიზიტის წარმატება.

ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეაში კარგად იციან, 1 ოქტომბრამდე რა ფასადური დემოკრატია შენდებოდა საქართველოში. თუმცა, ამ ვიზიტით იმედია, საბოლოოდ აეხადა ფარდა იმ პოლიტიკურ, სამართლებრივ უმსგავსობას, რაც წლების განმავლობაში იყო ჩვენს ქვეყანაში. ბიძინა ივანიშვილმა ნათლად ჩამოაყალიბა სათქმელი ქვეყნის განვითარების უმთავრეს გეზზე და დაარწმუნა აუდიტორია, რომ საქართველოს ურყევი ნებაა, იაროს ევროატლანტიკური სივრცისკენ, მოაწესრიგოს ურთიერთობები მეზობლებთან და მოახერხეს ქვეყნის წარმატებული განვითარება. ეს მიმართულებები კი ეფუძნება ერთ მთავარ ხაზს — თავად ქვეყანაში სამართლიანობის აღდგენასა და დემოკრატიული პროცესების შეუქცევადობას. ჩვენი ამოცანაა, მოვახერხოთ ქვეყნის შიგნით სწორად განვითარება...

— თორემ საგარეო კუთხით პრობლემები არ არის?

— დიახ, არც ერთი არსებითი პრობლემა ამ მიმართულებით არ არსებობს. ევროპის საბჭოშიც არ გამოთქმულა შენიშვნები. როგორც იცით, იყო ერთიორი მოსაზრება ქართულ-რუსულ ურთიერთობებზე, მაგრამ მას პრემიერმა ამომწურავად უპასუხა. ამის შემდეგ კითხვის დამსმელებმა ტონი რადიკალურად შეცვალეს და აღიარეს, რომ მათთვის გასაგები გახდა ქართული ოცნებისა და მისი ხელმძღვანელის საგარეო ორიენტაცია.

— იმის გარდა, რაც ღია ეთერით ვიხილეთ, როგორი იყო შეფასებები ევროპელების მხრიდან, რა ხდებოდა კულუარებში, არაოფიციალურ საუბრებში თუ სხვა შეხვედრებზე?

— ევროპელთა უმრავლესობა კმაყოფილებას გამოხატავდა იმის გამო, რომ ნახეს ადამიანი, რომელიც გატკეპნილი პოლიტიკური ფრაზებით არ საუბრობს, მეტიც, უცხოც კი არის ასეთი ფრაზები, ვისი სამეტყველო ენაც არის მარტივი და გასაგები. ამიტომაც ჩაიარა ყველა შეხვედრამ წარმატებით, იქნებოდა ეს ევროპის საბჭოს გენერალურ მდივანთან, საპარლამენტო ასამბლეის პრეზიდენტთან, ფრაქციების ხელმძვანელებთან, ვენეციის კომისიის პრეზიდენტთან თუ ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს ხელმძღვანელთან. როგორც აღვნიშნეთ, წარმატების ფორმულა არის სიმართლე, ღიაობა და სურვილი რადიკალურად გამოსწორდეს ქვეყანაში მდგომარეობა. ჩემი აზრით, ევროპელებს ამის შემდეგ აღარ დარჩათ კითხვები. ახლა საუბარია იმაზე, რომ ჩვენ თანამიმდევრულად, ნაკლები შეცდომებით შევძლოთ სწორი გზით სიარული. ჩვენ უნდა შევძლოთ ისეთი რეფორმების გატარება, რომ უახლოეს მომავალში შეწყდეს საქართველოში ევროპის საბჭოს მონიტორინგის პროცედურები.

— საინტერესოა, უკვე ამაზე საუბარიც კი იყო?

— დიახ, იყო. ამიტომ ევროპის საბჭოში ეს არ იყო მხოლოდ ქვეყნის ლიდერის, პრემიერის წარმატებული ვიზიტი, არამედ ეს იყო შესანიშნავი მომენტი იმისთვის, რომ ევროპას გაეგო, რა არის სიმართლე და რეალობა თანამედროვე საქართველოში.

— თქვენ არაერთხელ ახსენეთ დემოკრატია. ეს თავისთავად უნდა დაეფუძნოს პოლიტიკურ პლურალიზმს. „ქართულმა ოცნებამ“ კიდევ სამი კანდიდატი გაიყვანა შუალედურ არჩევნებზე. თუმცა, ბევრს გაუჩნდა პრეტენზია იმასთან დაკავშირებით, რომ „ქართულმა ოცნებამ“ სხვა პარტიებს არ მისცა შესაძლებლობა, არადა შეეძლო ეს შანსი არ გამოეყენებინა და რომელიმე პოლიტიკური ძალის მაჟორიტარისთვის მიეცა გამარჯვების შესაძლებლობა.

— ის რომ, საკუთარი კანდიდატურა წამოვაყენეთ, სულაც არ ზღუდავს ვინმეს. გამარჯვებულ კოალიციას, პარტიას, ცხადია აქვს სურვილი და ვალდებულიც კი არის, მიიღოს მონაწილეობა არჩევნებში. მაგრამ ჩვენთვის ამაზე გაცილებით მნიშვნელოვანია დაპირებების შესრულებაზე მუდმივად ფიქრი და შესრულება. კარგად ვხვდებით, რას ნიშნავს ხელისუფლებაში ყოფნა. ეს არის უდიდესი პასუხისმგებლობა ამომრჩევლის წინაშე, რომელიც გაწერილია დროში კონკრეტული საკითხების მიხედვით.

— პრემიერი ხშირად ახსენებს მეოთხე წელიწადს, როცა საზოგადოება რეალურად იგრძნობს საყოველთაო სიკეთეებს. თუმცა, ამომრჩეველი სულსწრაფია და ხშირად გსაყვედურობთ იმის გამო, რომ ჯერჯერობით, დიდად ხელშესახებ პროგრესს ვერ გრძნობს.

— ის, რომ ამომრჩეველი გვსაყვედურობს, ნორმალურია. და მადლობა ღმერთს, ამის გამო მათ არავინ ერჩის... მჯერა, პრემიერის გეგმა შესრულდება. ახლა მთავარია, ვიმუშაოთ გააზრებულად, შეთანხმებულად,მთელი მონდომებით. ჩემი მხრივ შემიძლია განვაცხადო, რომ პრემიერის პარტია ყველაფერს გააკეთებს, რათა ამ გეგმის შესრულებას მაქსიმალურად შეუწყოს ხელი.

— ბატონო არმაზ, დავით საგანელიძისა არ იყოს, თავიდან არც თქვენ იყავით ოცნების წევრი, თუმცა ძალიან საპასუხისმგებლო თანამდებობა ჩაგაბარეს. რა პრობლემები დაგვხვდათ პარტიაში?

— აღმასრულებელ მდივნად აპრილის დასაწყისში დავინიშნე, თუმცა, თავიდანვე მხარს ვუჭერდი ოცნების წარმატებებს, როგორც მოქალაქე და პოლიტიკის მკვლევარი. პრობლემები პარტიაში ბუნებრივია გვაქვს, ისეთივე როგორიც შეიძლება იყოს ნებისმიერ გამარჯვებულ, ახალშექმნილ პარტიაში. რა ხდებოდა აქამდე, ან რატომ, ახლა არსებითი არ არის. ვცდილობთ, ყველა პრობლემა ისე მოვაგვაროთ, რომ ვიხელმძღვანელოთ სამართლიანობის პრინციპით.

— ხომ არ გეგმავთ რეორგანიზაციას, ვინაიდან პარტიის ფორმირების პროცესი საკმაოდ მტკივნეულად და ქაოტურად ხდებოდა რეგიონებში. მაშინ ითქვა, რომ ქართული ოცნების რაიონების ხელმძღვანელები გამოსაცდელი ვადით, სულ რაღაც ერთი თვით დანიშნეს. რამე ცვლილებას აპირებთ ამ კუთხით?

— ამ ეტაპზე რეორგანიზაციას არ ვგეგმავთ.

— როგორ შეიძლება თქვენს პარტიაში გაწევრება. თუ აძლევთ პარტიულ ბილეთს, შესატანია თუ არა საწევროები? მოქალაქეებს აინტერესებთ ტექნიკური საკითხები.

— წესდების მიხედვით, მსურველი ავსებს ანკეტას, მას რეკომენდაციას უწევს პარტიის წევრი და განიხილავს ტერიტორიული ორგანო. საბოლოოდ კი გადაწყვეტილებას იღებს პოლიტსაბჭო.

— და ბოლოს, თითქოს თქვენ განიხილებით პრეზიდენტობის სავარაუდო კანდიდატად, მართალია?

— არ ვიცი, არაფერი მსმენია...

— გისურვებთ წარმატებებს! მადლობა საუბრისთვის.

ესაუბრა
თეა მოსია

◎ ფუტურო აზრები

ქვეყანა იყოს კარგად, თორემ უხეირო პრეზიდენტი წყალსაც წაუღია!

შერეკილებისადმი ჩემი გამორჩეული პატივისცემის ნიშნად, მინდა ღიად და საჯაროდ განვაცხადო, რომ გიჟების, საერთოდ, შერეკილების თემა ჩემთვის, როგორც ჟურნალისტისთვის, უცხო ხილი არასდროს ყოფილა. ეს ბუნებრივიცაა, შერეკილები ხომ ყველა დროსა და ყველა ეპოქაში იწვევდნენ საზოგადოების განსაკუთრებულ ინტერესს (მათზე ფილმებიც კი არის გადაღებული), თუმცა, ისეთი მასშტაბით, როგორც დღეს, უნდა ვაღიაროთ, რომ არასოდეს. აქვე ხაზი უნდა გაესვას, რომ შერეკილები, ადგილობრივნი იქნებიან ისინი თუ უცხოელნი, მუდამ გაჭრილი ვაშლივით ჰგვანან ერთმანეთს. მაგრამ მართალი არ ვიქნები თუ არ შევნიშნავ, რომ ჩვენებური შერეკილები, ქართული გენისა თუ ჯილაგის წყალობით, უცხოელი კოლეგებისგან მაინც გამოირჩევიან ევროპულ-ატლანტიკური განსწავლულობით, ქვეყნის რეფორმატორული აღმშენებლობის განუმეორებელი უნარით.

დიახ, რეალობას სად გავექცევით, ქართველი შერეკილები (მათ რიცხვში გიჟებიც) ყველაზე ჯანმრთელი და ყველაზე გონიერი შერეკილები არიან მთელ დუნიაზე, რომლის დაუნახაობა, ჩვენი მხრივ, მართლაც დიდი უბედურება იქნებოდა. ეს განსაკუთრებით ითქმის ხელისუფლებაში თავმოყრილ შერეკილებზე, რომლებიც იმ მიზეზით, რომ სახელმწიფომ უსახსრობის გამო თავის დროზე ვერ უმკურნალა, ახლა იქ არა სხედან, სადაც უნდა ისხდნენ. ცნობილი მეცნიერებისა და ფსიქიატრების განმარტებით, ამავე მიზეზით, დღეს საქართველოს ხელისუფლებასა თუ პოლიტიკურ პარტიებში, პარლამენტის უმრავლეს-უმცირესობასა თუ პოზიცია-ოპოზიციაში უფრო მეტ შერეკილს შეხვდებით, ვიდრე ოფიციალურ საშერეკილეთში.

ჰოდა ასეთ შერეკილებსა თუ გიჟებს, რომელთაგან დროთა მანძილზე პარტიათა ლიდერებიც გამოიჩეკნენ, სახელმწიფო მოღვაწენიც, პარლამენტარებიცა და არასამთავრობოელებიც, ახლა რით დაუმტკიცებ, რომ ნამდვილად შერეკილ-დამთხვეულები არიან და არა ეროვნული მოღვაწენი? და რადგან ვერ დაუმტკიცებ, არც ის უნდა გაგიკვირდეს, რომ იმათგან ზოგს პარლამენტის სპიკერობა მოუნდეს, ზოგს — პრემიერობა და ზოგსაც პრეზიდენტობა, თანაც ერთი და ორი ვადით კი არა, მუდმივად(!) მაშ როგორ, აბა გავიხსენოთ, რა თქვა გიჟმა, როცა ქორწილში შევიდა?!

შერეკილებს, რა თქმა უნდა, ვერ დავავალდებულებთ, ახსოვდეთ, რა თქვა გიჟმა, როცა ქორწილში შევიდა (მაშინ შერეკილებიც აღარ ერქმეოდათ), მაგრამ სამეფო ტახტზე აღზევების შემთხვევაში ის მაინც არ უნდა ავიწყდებოდეთ, რა ეპითეტებით ამკობენ მათ ქვეშევრდომნი, როცა ამ უკანასკნელთ ისინი შიმშილისა და უსამართლობის წნეხში ახრჩობენ. ამ მხრივ ნამდვილად ვერ დავემდურებით მიხეილ საკაშვილს, რომელიც საპრეზიდენტო ვადაგასულობის მიუხედავად, როგორც ჩანს, მეხსიერებას სულაც არ უჩივის. ამის დასტური გახლავთ პრეზიდენტის ხმამაღალი განცხადება, რომელიც მან ამ დღეებში ტელეკომპანია „რუსთავი-2“-ისთვის მიცემულ ინტერვიუში „გააჟღერა“. კარგად ვიცი, თქვა მან სიამაყით, არიან ადამიანები, რომლებსაც სულელი, გიჟი და გადარეული ვგონივარ, მაგრამ მე გიჟი სულაც არა ვარ, ჭკვიანი სტრატეგი და დემოკრატი ლიდერი გახლავართო, — დასძინა ქვეყნის თავკაცმა.

ამას რომ ვისმენდი, უნებლიედ გამახსენდა ამ ათიოდე წლისწინანდელი ისტორია, როცა იმჟამინდელი პრეზიდენტის მრჩეველმა თემურ მირიანაშვილმა ახალგაზრდა სააკაშვილი „ცნობილი გიჟის“ ეპითეტით მონათლა. კიდევ კარგი პრეზიდენტი შევარდნაძე მრჩევლებს კი უსმენდა, მაგრამ დიდად არაფერს უჯერებდა, თორემ, მერწმუნეთ, საქართველო სააკაშვილის გაპრეზიდენტების შანსს ნამდვილად დაკარგავდა!..

ღვთის მადლით, მაშინ კი გადავრჩით, მაგრამ დიდი საშიშროება კიდევ ერთხელ მაშინ დაემუქრა ქვეყანას, როცა აგრესორი და დიქტატორი პუტინი დემოკრატიის შუქურა სააკაშვილს ერთი ადგილით ჩამოკიდებას შეპირდა. კი შეპირდა, მაგრამ დაპირების შესრულება ვეღარ შეძლო, რითაც პრეზიდენტი სააკაშვილი დღემდე სამართლიანად ამაყობს. ამ პირობის შეუსრულებლობას რამდენჯერმე გაუსვა ხაზი პრეზიდენტმა ზემოხსენებულ ინტერვიუშიც, სადაც ერთი ჩემი კოლეგის დაკვირვებით, სააკაშვილმა ტელეწამყვან ნინო შუბლაძესაც კი ვერ დაუმალა თავისი დიდი სიხარული ამ არაჩვეულებრივ მიღწევასთან დაკავშირებით.

ზოგს შეიძლება ეს ფაქტი სასაცილოდაც არ ეყოს და სააკაშვილს მიღწეულით ტკბობა სისულელედ ჩაუთვალოს, მაგრამ ფაქტია, რომ სიტყვის გატეხისა და დაპირების შეუსრულებლობის გამო პუტინის რეიტინგი მსოფლიოს თვალში მნიშვნელოვნად დაეცა.

იხ. 4 ᲒᲒ.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

◎ ᲤᲣᲢᲣᲠᲝ ᲐᲖᲠᲔᲑᲘ

ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐ ᲘᲧᲝᲡ ᲙᲐᲠᲒᲐᲓ, ᲗᲝᲠᲔᲛ ᲣᲮᲔᲘᲠᲝ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘ ᲬᲧᲐᲚᲡᲐᲪ ᲬᲐᲣᲚᲘᲐ!

(ᲛᲔᲡᲐᲛᲔ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ) აღარაფერს ვამბობ რუსეთთან წაგებულ ომზე, რომელიც შედეგის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ფაქტობრივად, სააკაშვილის შორსმჭვრეტელმა პოლიტიკამ მოიგო. მართალია, რუსეთმა საქართველოს ტერიტორიები დააკარგვინა, მაგრამ სამაგიეროდ მას (პუტინის იმპერიას) მსოფლიო საზოგადოებრიობამ მიაწება „ოკუპანტის“ იარლიყი, რომელსაც ასე იოლად ვეღარ მოიცილებს. საქართველოს მთავარსარდალს ტერიტორიების დაკარგვაზე უფრო მნიშვნელოვნად ის მიაჩნია, რომ იმ გაჭირვების ჟამს მთელი მსოფლიოს პროგრესული ძალები ჩვენ მხარეს დადგნენ, ამერიკამ მეექვსე ფლოტი ჩვენსკენ შემოაბრუნა, თბილისში კი სარკოზი ჩამოფრინდა, თურმე რუსები როკის გვირაბის დაბომბვას აპირებდნენ... აბა გაებედათ, გულში მჯიღს იცემს გამარჯვებული მთავარსარდალი, სულ კუდით ქვას ვასროლინებდითო, 10 თვითმფრინავი ხომ ჩამოვუგდეთ, რაკეტები რომ არ გაგვთავებოდა, დანარჩენებსაც ზედ მივაყოლებდითო(!?).

აბა რომელი ჭკუათმყოფელი წარმოიდგენდა, მაგრამ სააკაშვილმა ივაჟკაცა და თავის სასარგებლოდ გამოიყენა ის გაუთვალისწინებელი მარცხიც კი, რომელიც ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ გასული წლის საპარლამენტო არჩევნებში განიცადა. პრეზიდენტი, როგორც საერთოდ სჩვევია, არც ამჯერად დაიბნა, მარცხი საჯაროდ აღიარა, პირადი ინტერესები გვერდზე გადადო და ქვეყნის თავკაცი საკუთარ ხალხთან საძიძგილაოდ ოპოზიციონერის როლში მოგვევლინა. აი, შემდეგ მოხდა, რაც მოხდა, ცივილიზებულმა ევროპამ ქართველი „ნაცების“ და „ოცნების“ ეს ძიძგილი კოჰაბიტაციად, ანუ დემოკრატიის შედეგრად მონათლა, თავად სააკაშვილი — ევროატლანტიკური ინტეგრირებული დემოკრატიის მეტრად და დიდების პიედესტალზე შემოსვა. ჰოდა, ამ სიმაღლიდან მაცქერალი ლიდერი, შეიძლება ითქვას, წუთსაც არ კარგავს უქმად, აქეთ საკონსტიტუციო ნორმების დამრღვევთ ებრძვის, იქით — სასამართლო რეფორმის ცრუავტორებს, ყველა გზას უკეტავს მედიაზე ზეწოლის მსურველებს. არავითარ შემთხვევაში არ დავუშვებ, რომ საქართველომ ევროპული გზიდან გადაუხვიოსო, აცხადებს (ეჭვი ეპარება, რომ ახალი ხელისუფლება ჩუმ-ჩუმად რუსეთისკენ იცქირება), დემოკრატიულ ღირებულებებზე უარი თქვას და წინ წასული ქვეყანა ისევ დახავსებულ, კორუფციულ მოდელს დაუბრუნდესო. ოღონდ ქვეყანა მყავდეს კარგად და აღარაფერს დავეძებ, წყალს წაუღია ყველა თანამდებობა, მათ შორის პრეზიდენტიცო (გულმა რეჩხი მიყო, სააკაშვილის ამერიკული ტურნეს ჟამს იქაური წყალდიდობის ნიუსი რომ გვაცნობეს)...

ასეთი გულდამთუთქველი განცხადების შემდეგ, მოდი და პრეზიდენტის პატრიოტობასა და სისპეტაკეში ეჭვი შეიტანე, თანაც გიჟი და დამთხვეული უწოდე და სამშობლოსთვის გაღებულ უპირველეს ღირებულებებზე ხელი ააღებინე. თვითონ კი აცხადებს, ოღონდ საქართველო იყოს წარმატებული და პრეზიდენტი წყალსაც წაუღიაო, მაგრამ ქვეყნისთვის თავგანწირულ ლიდერს ჩვენი წილი პატივი ხომ უნდა მივაგოთ. აბა, ერთი წუთით წარმოვიდგინოთ, რა იქნებოდა საქართველო სააკაშვილის თავკაცობის გარეშე? რუსეთი მაშინვე როკის გვირაბში შემოგვივარდებოდა და ერთიანად გადაგვბუგავდა, ჩავარდებოდა ეკონომიკა, რეფორმები, დაიმშეოდა ხალხი, და რაც ყველაზე მთავარია, — ავცდებოდით ევროატლანტიკურ ინტეგრაციას, დაგვეხშობოდა ნატოში შესასვლელი კარი, ზურგს შეგვაქცევდა ჩვენთვის ესოდენ სანუკვარი კოჰაბიტაცია, რომელსაც დღევანდელ მსოფლიოში ოქროს ფასი ადევს.

შორს ჩვენგან, უმადურობავ!

ᲝᲗᲐᲠ ᲮᲣᲪᲘᲨᲕᲘᲚᲘ

◎ ᲐᲚᲘᲐᲜ-ᲩᲐᲚᲘᲐᲜᲘ

ᲛᲐᲘᲐ ᲤᲐᲜᲯᲘᲙᲘᲫᲔ - ᲞᲠᲔᲛᲘᲔᲠᲛᲐ ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲝᲐ, ᲞᲝᲚᲘᲢᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲡᲮᲓᲝᲛᲐᲖᲔ ᲒᲐᲜᲡᲐᲮᲘᲚᲕᲔᲚᲐᲓ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲝᲑᲘᲡ ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘᲛᲔ ᲙᲐᲜᲓᲘᲓᲐᲢᲣᲠᲐ ᲒᲐᲘᲢᲐᲜᲝᲡ

ᲐᲛᲘᲡ შესახებ საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა მაია ფანჯიკიძემ გუშინ ჟურნალისტებთან გამართულ შეხვედრაზე განაცხადა.

მისი თქმით, მან ნამდვილად არ იცის, ვინ იქნება „ქართული ოცნების“ პრეზიდენტობის კანდიდატი, თუმცა, იცის ის, თუ რა კრიტერიუმებით ფიქრობს პრემიერი კანდიდატის შერჩევას. „ვიცი ის, რომ პრემიერმა შეიძლება რამდენიმე კანდიდატიც გამოიტანოს განსახილველად პოლიტსაბჭოზე და, რასაკვირველია, პოლიტსაბჭოს წევრებს იგი დაეკითხება აზრს ამა თუ იმ კანდიდატის შესახებ“, - აღნიშნა მინისტრმა.

მისივე შეფასებით, გაწონასწორებული და სიმპათიური პიროვნება ყველა თანამდებობაზე კარგია, განსაკუთრებით კი აუცილებელია პრეზიდენტის პოსტზე.

როგორც მაია ფანჯიკიძემ აღნიშნა, დაახლოებით მაისის შუა რიცხვებისთვის იქნება ცნობილი ვინ იქნება „ქართული ოცნების“ საპრეზიდენტო კანდიდატი, თუმცა, ეს იქნება ერთი და არა რამდენიმე.

ᲠᲬᲛᲣᲜᲔᲑᲣᲚᲗᲐ ᲡᲐᲑᲝᲭᲐᲟᲘ ᲮᲐᲚᲮᲘᲡ ᲦᲐᲚᲐᲢᲘᲡ ᲢᲝᲚᲤᲐᲡᲘᲐ

ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘᲡ რწმუნებულების უმეტესობა უარს ამბობს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტურქტურის სამინისტროსთან თანამშრომლობაზე, — ამის შესახებ განცხადება მინისტრის მოადგილემ შოთა მურღულიამ გუშინ ჟურნალისტებთან გააკეთა. მურღულიას ინფორმაციით, ბოლო ექვსი თვის განმავლობაში, ახალი ხელისუფლების მოსვლის დღიდან, პრეზიდენტის რწმუნებულების უმეტესობა, პრაქტიკულად, უარს ამბობს სამინისტროსთან თანამშრომლობაზე.

— საბოტაჟის თვალსაჩინო მაგალითად შეგვიძლია მოვიყვანოთ საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი პროექტების რეესტრი. აღნიშნული ფონდიდან პროექტების დასაფინანსებლად მუნიციპალიტეტებთან ერთად, პროექტების წარდგენის შესაძლებლობა პრეზიდენტის რწმუნებულებსაც ჰქონდათ. ამის მიუხედავად, მითითებულ ვადაში საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროში რწმუნებულების მიერ მხოლოდ სამი პროექტი შემოვიდა — შიდა ქართლის, იმერეთისა და გურიის გუბერნატორებისგან. მიუხედავად იმისა, რომ გუბერანტორებს ჰქონდათ შესაძლებლობა და ვალდებულებაც, რომ საკუთარ რეგიონში ინფრასტრუქტურის მოწესრიგებაზე ეზრუნათ, მათ ამ შესაძლებლობაზე, ანუ მოსახლეობის პრობლემების მოგვარების რეალურ შანსზე, პრაქტიკულად, უარი თქვეს, — განაცხადა მურღულიამ.

მისივე თქმით, გუბერნატორებს სამინისტროსთვის არც მარტის თვეში საქათველოში მომხდარი სტიქიის დროს მიუმართავთ, მიუხედავად იმისა, რომ ქარიშხალმა 10-ზე მეტი თვითმმართველობა დააზარალა.

— ბოლო ექვსი თვის განმავლობაში — 2012 წლის ნოემბრიდან დღემდე — სამინისტროს გუბერნატორებმა საკუთარ რეგიონებში არსებულ ინფრასტრუქტურულ პრობლემებთან დაკავშირებით მხოლოდ და მხოლოდ ათჯერ მიმართეს.

გუბერნატორებმა არ იზრუნეს, რომ ეს და სხვა პრობლემები რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის მეშვეობით მოგვარებულიყო იმ წესის მიხედვით, რომელიც დადგენილ იქნა საქართველოს მთავრობის მიერ. ამის პარალელურად, საქართველოს პრეზიდენტის რწმუნებულების მხრიდან ხშირად ისმის ბრალდებები, თითქოს რეგიონული განვითარების სამინისტრომ რეგიონებში ინფრასტრუქტურული პროექტები შეაჩერა. კიდევ ერთხელ კატეგორიულად ვაცხადებთ, რომ სამინისტროს 2013 წელს დაგეგმილი არც ერთი პროექტი არ შეუჩერებია. მოვუწოდებთ გუბერნატორებს, უარი თქვან ვიწრო-პარტიულ ინტერესებზე, გამოვიდნენ სახელმწიფოსა და ხალხის ინტერესებიდან და, ცრუ და ცილისმწამებლური ბრალდებების ნაცვლად, აკეთონ საქმე, რომელიც რეგიონებში მოსახლეობის ცხოვრების პირობების გაუმჯობესებას წაადგება, — აცხადებს მინისტრის მოადგილე.

ᲩᲕᲔᲜ ᲒᲕᲘᲜᲓᲐ, ᲠᲣᲡᲔᲗᲘ ᲙᲣᲗᲮᲔᲨᲘ ᲓᲐᲕᲐᲧᲔᲜᲝᲗ

ᲐᲛᲘᲡ შესახებ საქართველოს თავდაცვის მინისტრმა ირაკლი ალასანიამ რადიო „თავისუფლების“ ევროპის ბიუროსთვის მიცემულ ინტერვიუში განაცხადა.

როგორც თავდაცვის მინისტრმა აღნიშნა, საქართველოს ხელისუფლებას სურს, ისინი იმ კუთხეში დააყენოს, სადაც ქართული მხარე პოზიტიურ სიგნალებს გაუგზავნის, თუმცა, სადაც განვითარების საშუალება საქართველოსაც ექნება. — ეს არის ჩვენი პოლიტიკა რუსეთთან მიმართებაში, — განაცხადა ირაკლი ალასანიამ.

რადიო „თავისუფლების“ ევროპის ბიურომ საქართველოს თავდაცვის მინისტრის ირაკლი ალასანიას ინტერვიუ სათაურით — „რუსეთს ჭკუით უნდა ვაჯობოთ“, — გამოაქვეყნა.

ᲚᲐᲨᲐ ᲢᲣᲚᲣᲨᲘ - ᲣᲙᲐᲜᲝᲜᲝ ᲗᲕᲐᲚᲗᲕᲐᲚᲘᲡ ᲓᲘᲓᲘ ᲐᲠᲥᲘᲕᲘ ᲓᲐᲣᲧᲝᲕᲜᲔᲑᲚᲘᲕ ᲣᲜᲓᲐ ᲒᲐᲜᲐᲓᲒᲣᲠᲓᲔᲡ

ᲐᲠ შეიძლება, ქვეყანაში, რომელსაც აქვს პრეტენზია იყოს დემოკრატიული სახელმწიფო, ასეთი ოდენობით მოპოვებული უკანონო ინფორმაციები ინახებოდეს, - ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ გაზეთ „რეზონანსის“ მთავარმა რედაქტორმა ლაშა ტულუშმა განუცხადა. მისი თქმით, უნდა შეიქმნას მყარი გარანტიები იმისთვის, რომ საქართველოში მომავალში მსგავსი რამ არ განმეორდეს.

„ჩვენ გვინდა, რომ პარლამენტმა შექმნას მყარი გარანტიები, რათა მომავალში მსგავსი რამ არ განმეორდეს. უნდა მოხდეს ახალი საკანონმდებლო ჩარჩოს შემუშავება და შესაძლოა, საჭირო გახდეს დამატებითი ინსტრუმენტების შექმნაც, კერძოდ სპეციალური საპარლამენტო ჯგუფი ან სხვა სამსახურები, რომლებიც არ მისცემენ სამართალდამცველ სამსახურებს საშუალებას ისე იმოქმედონ, როგორც აქამდე მოქმედებდნენ. მე იმედი მაქვს, რომ დღევანდელი კონფერენცია ბიძგს მისცემს სახელმწიფოს ამ მსგავსი ნაბიჯების გადასადგმელად“, - განაცხადა ტულუშმა.

ჟურნალისტ ზვიად ქორიძის განცხადებით კი, ამ მასალების განადგურებით მთავრობა გაემიჯნება ამ მასალებს და შეეძლება თავისუფლად თქვას, რომ ეს ჩანაწერები მისთვის არ იყო ღირებულება. „ამ მასალების არსებობა ქმნის საფრთხეს მისი გაჟონვის. მთავრობამ უნდა მიმართოს ხალხს, რომ თუ აქვს მსგავსი ჩანაწერები, მივიდნენ სამართალდამცავ უწყებებში და მოეხსნათ ის სამართლებრივი პასუხისმგებლობა, რომელიც, შესაძლოა, აღნიშნულის გამო დაეკისროთ. რაც შეეხება საზოგადოებრივ მხარეს, აქ გადამწყვეტი არის მედიის და არასამთავრობო სექტორის ფუნქცია“, — განაცხადა ზვიად ქორიძემ.

მისივე თქმით, მსგავსი შეცდომა დაუშვა პროკურატურამაც ახალი მთავრობის პერიოდში, როდესაც გამოაქვეყნა ცნობილი ვიდეოჩანაწარები, რომლებიც, მიუხედავად მისი დაფარულობისა, ჰომოსექსუალურ ურთიერთობებს ეხებოდა.

ᲑᲐᲩᲝ ᲐᲮᲐᲚᲐᲘᲐ ᲫᲛᲘᲡ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲔᲑᲖᲔ ᲙᲝᲛᲔᲜᲢᲐᲠᲘ ᲐᲠ ᲐᲙᲔᲗᲘᲗᲔᲑᲡ

ᲗᲐᲕᲓᲐᲪᲕᲘᲡ ყოფილ მინისტრს, პატიმრობაში მყოფ ბაჩო ახალაიას დათა ახალაიას მიერ გავრცელებულ განცხადებაზე და მისეულ სააკაშვილსა და ვანო მერაბიშვილთან ურთიერთობებზე კომენტარის გაკეთება არ სურს.

„ინტერპრესნიუსი“ ბაჩო ახალაიას სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მისი მეგობრის გოგა ონიანის მეშვეობით დაუკავშირდა. თუმცა, როგორც გოგა ონიანმა განაცხადა, ბაჩო ახალაიას ინტერვიუების მიცემა არ სურს.

დათა ახალაიას სახელით „ფეისბუქში“ რამდენიმე კვირის წინათ განცხადება გავრცელდა. ამ განცხადებაში ახალაია წერს, რომ „ნაციონალური მოძრაობის“ ხელისუფლება ძალაუფლებისკენ მერაბიშვილის დაუოკებელმა ლტოლვამ, ანგარებამ და უბინძურესი ფორმებით წარმოებულმა ფარულმა ომებმა შეიწირა.

ᲡᲐᲡᲯᲔᲚᲐᲦᲡᲠᲣᲚᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲬᲔᲡᲔᲑᲣᲚᲔᲑᲔᲑᲨᲘ ᲞᲐᲢᲘᲛᲠᲔᲑᲡ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲮᲔᲚᲛᲘᲡᲐᲬᲕᲓᲝᲛᲝᲑᲐ ᲔᲥᲜᲔᲑᲐᲗ

ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ სამინისტროსა და სასჯელაღსრულების სამინისტროს შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა.

მსჯავრდებულთა რეაბილიტაცია-რესოციალიზაციის მიზნით, ერთობლივი პროგრამების განხორციელების შესახებ შეთანხმებას ხელი განათლების მინისტრმა გიორგი მარგველაშვილმა და სასჯელაღსრულების მინისტრმა სოზარ სუბარმა მოაწერეს. მემორანდუმის მიზანია, მსჯავრდებულთა ზოგადი და პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა, გათავისუფლების შემდეგ მათი სამოქალაქო საზოგადოებაში ინტეგრაციის, რეაბილიტაციისა და დასაქმების ხელშეწყობა.

მემორანდუმის ფარგლებში „სასჯელაღსრულების დაწესებულებებში განათლების მიღების ხელმისაწვდომობის პროგრამა“ ამოქმედდება, რომელიც ზოგადი და პროფესიული განათლების შესაბამის პროგრამებს განხორციელებს. მემორანდუმის მიხედვით, განათლების სამინისტრო სასჯელაღსრულების სამინისტროსთან ერთად მსჯავრდებულთა შესაბამის კლასებში, სასურველ პროფესიულ პროგრამებზე ჩარიცხვას, მათთვის შესაბამისი სასწავლო პროგრამის შერჩევას და ადეკვატური სასწავლო გარემოს შექმნას უზრუნველყოფს.

ᲘᲜᲢᲔᲠᲞᲠᲔᲡᲘ

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

საჩუქარი ბავშვებს და აურზაური სანიგნეთში

დიდი აურზაურია წიგნების სამყაროში, რაც განათლების სამინისტროს დიდებულ გადაწყვეტილებას მოჰყვა: სახელმძღვანელოები უფასოდ დაურიგდეს სახელმწიფო სკოლის მოსწავლეებს.

წიგნები უფასოდ! ეს ნამდვილად დიდი ქველმოქმედება, თურმე, სოკოებით მომრავლებულ გამომცემლობებს აზარალებს!

ხელისუფლების ეს დიდებული გადაწყვეტილება რომ სკოლის მოსწავლეთა მშობლებისათვის უდიდესი დახმარებაა, სახელმძღვანელოების გამომცემლებს სულაც არ აინტერესებთ, რადგან გამომცემლობებს ზეშემოსავალი შეუმცირდებათ. სამაგიეროდ, მშობლებსაც მნიშვნელოვნად გაუადვილდებათ ფინანსური პრობლემების გადაწყვეტა და ბავშვების მოზრდილი ნაწილიც გადაურჩება „უწიგნოდ სწავლას“ ან ნათხოვარი წიგნებიდან ზოგიერთი გვერდების „გადაქსეროქსებას“.

წიგნს რომ ძალიან გაუჭირდა, ყველასათვის ცნობილია. ძალზე კარგი ლიტერატურაც შეგხვდება წიგნების მაღაზიებში, მაგრამ ხალხის შემოსავალთან შედარებით იმდენად მაღალი ფასებია, რომ მისი ყიდვა შეუძლებელია სასწავლო პროცესებისაგან ზეწოლის გარეშე. ამ ზეწოლას ფართოდ იყენებენ უნივერსიტეტის პროფესორებიც, რომლებიც წერენ სახელმძღვანელოებს და სტუდენტებს მათ შეძენას აიძულებენ. ესეც ერთგვარი „დემოკრატიზაციის“ შედეგია: რასაც მინდა, იმას დავწერ და სტუდენტი თუ მოსწავლე უკვე ასეთი, ხშირად ძალზე უხარისხო პროდუქციის მსხვერპლი ხდება.

რამდენად ხარისხიანია ჩვენი ბავშვებისათვის გამოცემული სახელმძღვანელოები? ერთი შეხედვით, პოლიგრაფიული თვალსაზრისით ისინი მაღალ დონეზეა: ზოგი ინგლისში იბეჭდება და ზოგი — თურქეთში. ეს ფერად-ფერადი სურათებით აჭრელებული სახელმძღვანელოები უბადრუკი ტექსტების წყალობით (განსაკუთრებით საბუნებისმეტყველო საგნებში) ბავშვების თუნდაც საშუალო დონის განათლებას რომ ვერ უზრუნველყოფს, კარგად ჩანს როგორც ეროვნული გამოცდების შედეგებიდან, ისე საბუნებისმეტყველო და ტექნიკურ სპეციალობებზე შემოსული სტუდენტების დონიდან.

დღევანდელმა გამომცემლებმა მიზნად დაისახეს სახელმძღვანელოების ფასის მაქსიმალურად გაზრდა და ამას მიაღწიეს კიდეც დიდი ფორმატის სქელყდიანი წიგნების გამოცემით, მაგრამ წიგნების უბადრუკი შინაარსი მათ საერთოდ არ აწუხებდათ. როგორც წესი, სახელმძღვანელოებს სკოლის მასწავლებლები წერდნენ და ამდენად დაბალი დონე გარანტირებული იყო, ხოლო წიგნის რედაქტირება საერთოდ იყო უგულებელყოფილი. ამიტომ, სახელმძღვანელოებში მრავლად იყო უხეში შეცდომები და სრულიად არალოგიკური მსჯელობები.

აბა, რა ვუწოდოთ ერთ-ერთი პოპულარული ფიზიკის სახელმძღვანელოს ავტორს, რომელსაც აზრად მოუვიდა, რომ „მატერიალური წერტილი“ „ნივთიერი წერტილით“ შეეცვალა და ეჩვენებინა, რომ ამ სკოლის მასწავლებელს წარმოდგენა არა აქვს მატერიაზე. თუმცა, როდესაც მეორე მასწავლებელი სახელმძღვანელოთი მეათეკლასელებს „ასწავლის“, რომ „ბუნებრივი აირი იწვის“ და ამის დასადასტურებლად გაზის ანთებული „კამფორკის“ ფერად სურათს გვაწვდის, უნდა ვიფიქროთ, რომ მოსწავლე პირდაპირ საბავშვო ბაღიდან მოხვდა მეათე კლასში. სხვა სახელმძღვანელოებშიც მრავალია მოსწავლეების მიმართ ასეთი დამოკიდებულება. მაგალითად, ერთ-ერთ ფიზიკის სახელმძღვანელოში მითითებულია ლაბორატორიული სამუშაო, სადაც მეცხრეკლასელმა ხელში უნდა აიღოს ჩვეულებრივი ნათურა და თუ დაკვირვებით დაათვალიერებს, ნახავს რომ ნათურაში წვრილი სპირალია, რომელიც, დენი თუ გაივლის, გახურდება და სინათლეს გამოსცემს.

რატომ მოხდა ის, რაც მოხდა? აქ მრავალი მიზეზია, მათ შორის შესაშური მომგებიანი ბიზნესის კეთების შესაძლებლობა, მაგრამ მთავარია ის, რომ სახელმწიფოს ნაკლებად აინტერესებდა სკოლებში სწავლების დონე. ჩვენ ხომ კანონმდებლობით სახელმწიფო საშუალო და უმაღლესი სასწავლებლები გავაუქმეთ და „საჯარო სკოლა“ დავაარსეთ. „საჯარო სკოლა“ კი ინგლისურად „პაბლიკ სკულს“ ნიშნავს, რომელიც ამერიკაში უფასო შვიდწლიანი სკოლაა გონებასუსტი ბავშვებისათვის. ჩვენ კი ეს სკოლები 12-წლიანი გავხადეთ ისე, რომ „პაბლიკ სკულების“ პროგრამები იგივე დარჩა.

ამერიკაში სამი სასწავლო პროგრამაა ფიზიკაში. ალბათ, სხვა საგნებშიც ასეა. უდაბლესი დონის სასწავლო პროგრამა არის პროგრამა A, რომელიც დაწყებითი სკოლებისთვისაა განკუთვნილი და 1-წლიან სწავლებას მოითხოვს (ეს პროგრამა ხორციელდება სწორედ „პაბლიკ სკულებში“). პროგრამა B უფრო მაღალი დონის ფიზიკას შეესაბამება, რომელიც ამერიკის საშუალო სკოლებისთვისაა აუცილებელი. ამერიკაში მაღალი სკოლებიცაა, სადაც ფიზიკის სწავლება მრავალწლიანია და პროგრამა C-თი მიმდინარეობს. მაგალითად, ოპტიკაში A-პროგრამა გეომეტრიული ოპტიკით მთავრდება, B-პროგრამა — ტალღური ოპტიკით, ხოლო C-პროგრამაში ქვანტური და არაწრფივი ოპტიკის ელემენტებია წარმოდგენილი. ასევე, ელექტროობის A-პროგრამა მუდმივი დენის განხილვით შემოიფარგლება.

რა ქნას ნიჭიერმა ბავშვმა? მას წაართვეს მაღალი დონის მიღების უფლება. თუმცა, უმაღლესში შესვლა და მისი დამთავრება არავისთვის არაა პრობლემა, თუ მშობელმა ფული დროზე გადაიხადა.

ისეთი სახელმძღვანელოები უნდა შეიქმნას, რომელშიც სამივე პროგრამა იქნება წარმოდგენილი და მოსწავლე მასწავლებლის დახმარებით შესძლებს იმ პროგრამის ათვისებას, რომელიც მის ნიჭს შეესაბამება.

ნუთუ დემოკრატია იმას ნიშნავს, რომ ვისაც რა უნდა, იმ სახელმძღვანელოს მოგვაწვდის და ვინც უკეთ „ჩააწყობს“ სკოლის დირექტორთან საქმეს, სკოლებშიც უფრო მეტ წიგნს შეიტანს. ამ „ჩაწყობებს“ რომ „კორუფციის სურნელი“ ასდის, ეს კარგად ჩანს, მაგრამ რას უყურებდნენ განათლების სამინისტროს ყოფილი მინისტრები, როდესაც ერთ საგანში ათამდე სახელმძღვანელოს სათანადო გრიფს ანიჭებდნენ? რომელი წიგნი გაიყიდებოდა უკეთ? ის, რომელიც სკოლის დირექტორს ან საგნის მასწავლებელს აწყობდა! მათ კი სწორედ უბადრუკი შინაარსის სახელმძღვანელოები აწყობთ, რადგან მათი დონეც სახელმძღვანელოს დონეს შეესაბამება.

ნუთუ ჩვენმა „სახელმძღვანელოების“ გამომცემლებმა არ იციან, რომ სახელმძღვანელოში მთავარია შინაარსი და არა ფერად-ფერადი სურათებით აჭრელებული პოლიგრაფია? თუმცა, ეტყობა იციან, რომ მაღალი დონის შინაარსი მოითხოვს მაღალი დონის ავტორს და ასევე მაღალი დონის რედაქტირებას. კარგად ვხედავთ, რომ გაზეთების მაღალ დონეს სწორედ კარგი რედაქტორების თავდაუზოგავი შრომა განაპირობებს. ამ სფეროში მართლაც მაღალი კონკურენციაა, მაგრამ სახელმძღვანელოებს ხალხი იძულებით ყიდულობს იმას, რომელსაც მასწავლებელი ან დირექტორი აირჩევს.

ალბათ, გახსოვთ სახელმწიფო გამომცემლობა „განათლება“, სადაც ძირითადი სიმძიმე სახელმძღვანელოების რედაქტორებზე გადადიოდა. ეს გამომცემლობა ახალი ტიპის „ბიზნესმენების“ დიდი მონდომების შედეგად დაიხურა და სოკოებივით გამრავლდნენ კერძო გამომცემლები, სადაც წიგნის რედაქტირება უგულებელყოფილია და ყურადღება მხოლოდ პოლიგრაფიაზეა გადატანილი. ამას ხომ სტამბებიც მათ გარეშეც განახორციელებდნენ?

იმ „ავადსახსენებელი“ კომუნისტების დროს სწავლის დონე მართლაც ერთ-ერთი საუკეთესო იყო მსოფლიოში და, ამასთანავე, ყოველ საგანში მხოლოდ ერთი სახელმძღვანელო იბეჭდებოდა. მოსწავლეებს დამატებით შეეძლოთ სხვა, ძირითადად პოპულარული წიგნებით სარგებლობა, მაგრამ საგამოცდო პროგრამები სწორედ ძირითად სახელმძღვანელოებს ეყრდნობოდა. დღეს კი, სახელმძღვანელოების სხვადასხვა დონის გამო წარმოუდგენლად ძნელია ნორმალური საგამოცდო ტესტების შედგენა.

1992 წელს ამერიკელებთან ერთად მე დავაარსე სახელმწიფო სკოლა „მომავლის სკოლა“ (შემდეგ ეს სკოლა კერძო გახდა და მე თავი დავანებე მას. სახელმძღვანელოები ამერიკიდან შემოგვქონდა და ყველა სახელმძღვანელო შავ-თეთრი იყო. თვით სახელმძღვანელოები, რომლებსაც „პეისებს“ უწოდებდნენ, თხელ ჟურნალს წარმოადგენდა. თითოეული სახელმძღვანელო 12 ასეთი „პეისისაგან“ შედგებოდა და მისი ფასი 1 დოლარს არ აღემატებოდა.

თუ ამერიკელებმა კარგად იცოდნენ, რომ სახელმძღვანელოს ფასი მაქსიმალურად დაბალი უნდა ყოფილიყო, რათა მისი შეძენის საშუალება ყველას ჰქონოდა, ჩვენ რა დაგვემართა, რომ შინაარსით ეს უბადრუკი სახელმძღვანელოები ფერადი სურათებით ავაჭრელეთ, რათა მეტი ფული „ამოგვეღო“ ისედაც გაღატაკებული მოსახლეობისაგან?

სავსებით მივესალმები და მთლიანად მხარს ვუჭერ განათლების სამინისტროს დიდებულ გადაწყვეტილებას მოსწავლეებისათვის ასეთი ჩინებული საჩუქრის გამო, მაგრამ საჭიროა სასწრაფოდ შეიქმნას სპეციალური კომისია სახელმძღვანელოების დონის მნიშვნელოვნად ამაღლების მიზნით, რათა ყოველ საგანში შეირჩეს მხოლოდ ერთი ძირითადი სახელმძღვანელო, რაც სავალდებულო იქნება ყველა სახელმწიფო სკოლისათვის. ამასთანავე, იმედი მაქვს, რომ ყველა ის სახელმძღვანელო, სახელმწიფოს შეკვეთით დაიბეჭდება და შავ-თეთრი იქნება თვითღირებულების შემცირების მიზნით (შესაძლოა, დაწყებითი კლასების გარდა). ამით სახელმწიფო სახსრებიც დაიზოგება და, იმედია, კერძო სკოლების მოსწავლეებიც იაფ სახელმძღვანელოებს აირჩევენ. მოვუწოდებ ჩვენს პროფესურას, აქტიურად ჩაერთოს საქართველოს ბავშვებისთვის მაღალი დონის სახელმძღვანელოების შექმნის პროცესში.

მერაბ ჯიბლაძე,
პროფესორი

◎ გვეხმაურებიან

ეს არის ნება ხალხის!..

ჩვენი გაზეთის 24 აპრილის ნომერში დაბეჭდილ მასალას — „ამ შემთხვევაში არ გამოგვადგება, „არც მწვადი დავწვათ და არც შამფურიო“, კვლავაც ეხმაურებიან, რადგან საკითხი ეხება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის გიორგი მარგველაშვილის, ასე ვთქვათ, სენსაციურ განცხადებას, სექტემბრიდან ჩვენი სკოლების მოსწავლეებს სახელმძღვანელოები უფასოდ დაურიგდებათო...

— ისე, გვარიანად დაგვიანებული გადაწყვეტილება კია, — გვეუბნება ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი გიორგი ოთხმეზური, რომელიც რედაქციაში გვეწვია, რათა გამოხმაურებოდა მინისტრის განცხადებას და ამის გამო განვითარებულ მოვლენებს, — დაგვიანებულია, რადგან ჩვენი საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობას, მართლაც არა აქვს, ყოველ წელიწადს სასკოლო სახელმძღვანელოების ყიდვის თავი... ამას წინათ ტელევიზიით აჩვენეს ქართლის რაიონის ერთ-ერთი სოფლის სკოლა, სადაც მხოლოდ სოციალურად დაუცველი ოჯახების ბავშვებს აქვთ უფასოდ წიგნები, დანარჩენი, თითქმის, 90 პროცენტი, უწიგნოდაა, რადგან მათ მშობლებს არა აქვთ წიგნების შეძენის სახსარი. საინტერესოა, დღეს რომ ერთი ამბავი აქვთ ატეხილი განათლების მინისტრის გადაწყვეტილების გამო, იმ გამომცემლობების დირექტორებმა თუ ნახეს ეს სიუჟეტი! მართალია, ისინი იცავენ თავიანთ ინტერესებს, რახან ამ გადაწყვეტილებით ზარალს ნახულობენ, მაგრამ ხალხის ინტერესები უმთავრესია, ამიტომ, ჩემი აზრით, უნდა დასხდნენ სამინისტროსა და გამომცემლობების ხელმძღვანელები, იქნებ, ეკონომიკისა და ფინანსთა სამინისტროების წარმომადგენლებიც მიიწვიონ... დასხდნენ, ბატონო, და მოილაპარაკონ, რა სჯობს, როგორ სჯობს... ერთი რამ ფაქტია, რომ მოსახლეობა არ დაზარალდეს და მარგველაშვილის დანაპირებს მისხალი არ დააკლდეს (სხვათა შორის, ერთგან მან განაცხადა, სანამ მე ვარ მინისტრი, ეს გადაწყვეტილება არ შეიცვლებაო)... ამიტომ, დასხდნენ და შეიმუშაონ ოპტიმალური ვარიანტი.

და, ბოლოს, მე არ შემიძლია ჩემი უარყოფითი დამოკიდებულება არ გამოვხატო იმ განცხადების მიმართ, რომელიც თქვენი გაზეთის 19 აპრილის ნომერშია დაბეჭდილი და ქართველი მწერლები აწერენ ხელს. ესე იგი, რა ვქნათ, სოლიდარობა გამოვუცხადოთ გამომცემლობებს და ზურგი შევაქციოთ ხალხის ინტერესებს?

ნახეთ, რას შეუწუხებია ჩვენი მწერლები, რომელთაგან ბევრს დიდ პატივს ვცემ და ზოგი ჩემი მეგობარიცაა.

„ეს გადაწყვეტილება გამოიწვევს გამომცემლობების დახურვას, რადგან ისინი ველარ შეძლებენ სხვა სახის ლიტერატურული პროდუქციის შექმნას, რომელთა გამოცემაც პირდაპირ უკავშირდება სახელმძღვანელოებიდან შემოსულ თანხებს“.

თუ ლომაიასა და შაშკინის მაქინაციების წყალობით არსებობდნენ ეს გამომცემლობები, სწორედაც რომ დასახური ყოფილან!

ერთი სიტყვით, როგორც ზემოთ გითხარით, ჩემი აზრით, საჭიროა მოლაპარაკება და საუკეთესო ვარიანტის არჩევა, უპირველესად, ცხადია, მაინც ხალხის სასარგებლოდ, რადგან, როგორც გალაკტიონი იტყოდა: „ეს არის ნება ხალხის“!

გიორგი ოთხმეზური

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

◎ სად არის გამოსავალი?

საზოგადოებრივი მაუწყებლის რეორგანიზაცია და დეპოლიტიზაცია ჩვენი მომავლისათვის

მასმედიის ზოგადად და, კერძოდ, ტელემედიის განმსაზღვრელი მნიშვნელობის გავლენა საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაზე, საზოგადოებრივი აზრის ხასიათსა და მიმართულებაზე, საზოგადოებრივ განწყობებსა და თვით საზოგადოების მორალურ და ზნეობრივ მდგომარეობაზეც კი ეჭვს არ იწვევს. უკანასკნელ ოცწლეულში ჩვენი ტელესივრცე დაემსგავსა გლადიატორთა ბრძოლას, რომელშიც ტელეკომპანიათა უმრავლესობა ამა თუ იმ პოლიტიკური ძალის მიერ გამოყენებული იყო (და არის) ხალხის ცნობიერებით მანიპულირების, ძალაუფლების შენარჩუნების ან ძალაუფლების მოპოვების ინსტრუმენტად. ბრძოლა ძალაუფლებისათვის თავისი ბუნებით დაუნდობელია და, შესაბამისად, ქართული ტელემედია იქცა არა გარკვეული ამოცანების, მიზნებისა და ღირებულებების გარშემო საზოგადოების კონსოლიდაციის, არამედ მისი დაშლის, საზოგადოებაში ანტაგონიზმის გაღრმავების საშუალებად. ამასთანავე, ქართულ ტელემედიაში (ზოგადად — მედიაში) იგნორირებულია მედიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და საზოგადოებისათვის სასიცოცხლოდ აუცილებელი — საგანმანათლებლო-შემეცნებითი — ფუნქცია (თავისთავად მედიის გამოყენება პოლიტიკური მიზნების სარეალიზაციოდ არ არის ახალი ამბავი. ჯერ კიდევ 1870-იან წლებში პარიზში გამოქვეყნებულ ნაშრომში ნიკო ნიკოლაძე წერდა — ფრანგული პრესა ძალაუფლებისათვის მებრძოლი პოლიტიკური ძალების მძევლად იქცა, რის გამოც „მოხდა ინტელექტუალური ცხოვრების შეცვლა უმიზნო და უსაგნო ფიიერვერკთა მთელი რიგით, ასეთმა პრესამ გახრწნა საზოგადოების გონება და მასში გამოაღვიძა გასართობებისა და იაფფასიანი სპექტაკლების მოთხოვნილება, რაც უცხადესი ნიშანია ერის მორალური დეკადანსისა და მისი, როგორც გვამის, გახრწნისა...“. ყოველივე ამას კი ის შედეგი მოჰყვაო, — დასძენს ნ. ნიკოლაძე, — რომ „ფრანგულ პრესაში ვერ იპოვით გულიდან ამოხეთქილ ერთ აკორდსაც, ვერც ისეთ სურათს, რომელიც ადამიანის გონებას ააღელვებდა და შიგ სამუდამოდ შთაიბეჭდებოდა, ვერც ერთ იმ დიად აზრს, რომლითაც ესოდენ ზღაპრულად მდიდარი და გულუხვად მფანტველი იყო ოდესღაც საფრანგეთი. ყოველივე დაწვრილმანდა, რაქიტული გახდა; აღარც მძლავრი ამოსუნთქვა, აღარც რწმენა, ყველაფერი აღბეჭდილია პოლიტიკური დაჯგუფებების საქმიანობით, ყველაფერს დუქნის სუნი ასდის...“ და სხვ.).

ბუნებრივად დაისმის კითხვა: სად არის გამოსავალი? მით უმეტეს, „თანამედროვე გლობალისტურ სამყაროში, რომელიც იმყოფება ტექნოლოგიური, კომერციული, პოლიტიკური და კულტურული ფაქტორების ერთდროული და მძლავრი წნეხის ქვეშ, როდესაც რადიო და ტელევიზია გამსჭვალულია კომერციული და პოლიტიკური ინტერესებით...“. ეს ციტატა ჩვენ მოგვყავს კოტე ჯანდიერის პუბლიკაციიდან, რომელშიც განსაზღვრულია საზოგადოებრივი მაუწყებლობის რაობა, ძირითადი პრინციპები და ამოცანები... (http://www.liberali.ge/ge/liberali/articles/114612/).

ჩვენ, ისევე როგორც დასახელებული პუბლიკაციის ავტორი, მივიჩნევთ, რომ სწორედ საზოგადოებრივი მაუწყებელი „უნდა გახდეს დემოკრატიულობისა და ეგალიტურობის მაგალითი დანარჩენი(ქართული) მედიასაშუალებებისათვის“ და სწორედ გადამხდელის ფულით დაფინანსებულმა და, ამდენად, ფინანსურად უზრუნველყოფილმა, კომერციული ინტერესებისაგან თავისუფალმა საზოგადოებრივმა მაუწყებელმა უნდა „უზრუნველყოს ზოგადსაკაცობრიო და ეროვნული, დემოკრატიული და სოციალური ფასეულობების მუდმივი დომინირება ცალკეული ჯგუფების პოლიტიკურ და კომერციულ ინტერესებზე“. პირველ რიგში, საზოგადოებრივმა მაუწყებელმა უნდა შეუწყოს ხელი „სამოქალაქო მშვიდობას, კონსოლიდაციას, უნივერსალურ ფასეულობებზე დამყარებული ეროვნული კულტურის განვითარებას, ეროვნული იდენტობისა და ქვეყნის კულტურული სუვერენიტეტის დაცვას“ და სხვ.

როგორც ცნობილია, საქართველოს პარლამენტში მიმდინარეობს მაუწყებლობის შესახებ ახალი კანონპროექტის განხილვა. ჩნდება შანსი, საქართველოში შეიქმნას საერთაშორისო მასშტაბით აღიარებულ პრინციპებზე დაფუძნებული სამაუწყებლო კანონმდებლობა, რომელიც ორიენტირებილი იქნება არა დღეს არსებულ პოლიტიკურ კონიუნქტურაზე, არამედ ჩვენი საზოგადოების გრძელვადიან, ფუნდამენტურ ინტერესებზე.

„ქართული აკადემია“ მხარს უჭერს საზოგადოებრივი მაუწყებლის რეორგანიზაციას ზემოხსენებულ პრინციპებსა და შეხედულებებზე დაყრდნობით და გამოთქვამს იმედს, რომ პარლამენტარები გადაწყვეტილებას მიიღებენ არა ცალკეული პოლიტიკური ძალების ინტერესთა გათვალისწინებით, არამედ თავისუფალი აზრისა და სამოქალაქო საზოგადოების სასარგებლოდ.

„ქართული აკადემია“.
27.IV.2013

◎ ოლიმპიადა კარზე გვიკაკუნებს

კარგად მახსოვს 2008 წლის აგვისტოს როგორ გაჩნდა სოჭში ოლიმპიადის ჩატარების საწინააღმდეგო პეტიცია და რა მონდომებითა და ოპერატიულობით ვავრცელებდით მას. თითქმის 5 წლის წინათ არავის ეპარებოდა ეჭვი იმაში, რომ არა თუ თანამემამულეებს (რაც ბუნებრივად მიგვაჩნდა), არამედ მსოფლიოსაც ხისტი პროტესტი უნდა განეცხადებინა 2014 წელს სოჭში ზამთრის ოლიმპიური თამაშების ჩატარებისთვის. მაგრამ, როგორც ხდება, გამოხდა ხანი და „გემოვნება“ შეიცვალა.

ყბადაღებული „რუსეთთან დალაგების“ პოლიტიკის ფარგლებში ის, რაც სულ ცოტა ხნის წინათ თავისთვადად გვეჩვენებოდა, სულაც არ ყოფილა ასე ცხადზე უცხადესი. სტერეოტიპი იმის თაობაზე, რომ ოლიმპიური თამაშები მსოფლიოს ერთა ერთგვარი ერთსულოვანი მშვიდობიანი ჟესტია (ლოზუნგი — „ ო, სპორტო, შენ ხარ მშვიდობა“) არაერთგზის დარღვეულა. 2008-ის აგვისტოში ჩინეთში გამართული ზაფხულის ოლიმპიადა კი ამის თვალნათელი მაგალითი გახდა. თუმცა, ავტორიტეტულ საერთაშორისო უფლებადაცვით ორგანიზაციებს თუ დავუჯერებთ, სოჭის ოლიმპიადა (მისი ლოზუნგია — „Hot. Cool. Yours“ ანუ „ცხელი. ცივი. თქვენი“) არა მხოლოდ ამ მიზეზით შეიძლება „დავიწუნოთ“, არამედ იმის გამოც, თუ რა ხდება იმ ქვეყნის ტერიტორიაზე, სადაც გაეროს წევრი ლამის ყველა ქვეყანა უნდა შეიკრიბოს პირველად მას მერე, რაც 1980 წელს მოსკოვში გამართულ ოლიმპიადაზე ათეულობით ქვეყანამ მონაწილეობაზე უარი განაცხადა. მაშინ მოსკოვი სსრკ-ის დედაქალაქი იყო, საბჭოთა ჯარი ავღანეთს იპყრობდა, ხოლო აშშ-ის მაშინდელი პრეზიდენტ კარტერის ულტიმატუმმა, რომ სსრკ-ის ჯარებს ერთ თვეში დაეტოვებინათ ავღანეთის ტერიტორია, შედეგი ვერ გამოიღო. ძალიან ბევრმა ქვეყანამ აშშ-ს მხარი აუბა და ოლიმპიადას ბოიკოტი გამოუცხადა, ერთი უბრალო მიზეზის გამო — ოლიმპიადა ოკუპანტი ქვეყნის ტერიტორიაზე არ უნდა ჩატარებულიყო. თუმცა, 16 სახელმწიფოს (საფრანგეთი, იტალია, ბრიტანეთი, შვედეთი და სხვა) დელეგატები მაინც გამოვიდნენ ოლიმპიადაზე, მაგრამ არა თავიანთი სახელმწიფო დროშებით, არამედ ოლიმპიური თეთრი დროშის ქვეშ, რაც იმას ნიშნავდა, რომ ისინი ამ ოლიმპიადაზე კერძო პირები იყვნენ და არა სახელმწიფოს ოფიციალური წარგზავნილები. თუმცა, ამის შესახებ სსრკ-ში მხოლოდ ერთეულებმა იცოდნენ. მაშინ უცხოური რადიოს ტალღებს მოსახლეობის მინიმალური რაოდენობა იჭერდა, არც კომპიუტერი, არც სოციალური მედია არ არსებობდა და არც საპროტესტო პეტიციის შევსების მარტივი ინტერნეტ ფორმა.

შარშან Amnesty International-მა რუსეთის ხელმძღვანელობას სოჭის ოლიმპიური თამაშების მოახლოვების პარალელურად სავალდებულო წესით სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების დაცვა მოსთხოვა. რუსეთის მთავრობისადი მამართვაში შემდეგია აღნიშნული: „რუსეთის მთავრობა უნდა მიესალმებოდეს განსხავებული აზრის მშვიდობიან გამოხატვას. მშვიდობიანი პროტესტი დაპატიმრებებით სრულდება, როგორც ეს მოხდა ოპოზიციის ლიდერ ნავალნის, ასევე პანკ ჯგუფ Pussy Riot-ის შემთხვევაში. ორგანიზაცია ასევე აქცენტს აკეთებს იმაზე, რომ ოჯახებს, რომლებიც სოჭში ოლიმპიური დასახლების გასაშენებლად სახლებიდან გამოყარეს და სახლები დაუნგრიეს, კომპენსაციებს არ აძლევენ.

ამა წლის თებერვალში გამოქვეყნა Human Rights Watch-ის ანგარიში, სადაც მოცემულია როგორც წერილობითი, ასევე ვიდეომასალა იმ 2000-მდე ოჯახის შესახებ, რომლებიც უსახლკაროდ დარჩნენ მხოლოდ იმიტომ, რომ მათი უძრავი ქონების ადგილას ოლიმპიური სოფელი უნდა გაშენდეს. ორგანიზაცია აღნიშნავს ოლიმპიური ინფრასტრუქტურის მშენებლობებზე დასაქმებული მუშა მიგრანტების ექსპლუატაციისა და მოტყუების შემთხვევებს. აღნიშნულია დაქირავებული მუშებისთვის პასპორტების წართმევისა და 12-საათიანი სამუშაო დღის (დასვენების დღეების გარეშე) დაწესების შესახებ. რუსეთმა ყოფილი სსრკ-ის რესპულიკებლიდან 16 ათასზე მეტი „გასტარბაიტერი“ ჩამოიყვანა, რომლებსაც საუკეთესო შემთხვევაში საათში 1-2 დოლარს უხდიან, უარესში — სამი თვე ამუშავებენ, ჰპირდებიან ხელფასს, ბოლოს კი არ აძლევენ. დამქირავებლები მუშებს ხშირად პირველი თვის ხელფასს არ აძლევენ იმ პირობით, რომ მას სამუშაოს შესრულების დასასრულ, ანუ ობიექტის ჩაბარების შემდეგ მიიღებენ. თუ ადამიანმა ვერ გაუძლო ამგვარ პირობებს ან დაითხოვეს, პირველი თვის ხელფასს დაკარგავს. ასევე მათ არ გადაეცემათ კონტრაქტის ასლი და თუ სამართლებრივად მოინდომებენ კუთვნილი ხელფასის აღებას, მათ ქვეყნიდან გააძევებენ. „ჰუმან რაითს ვოტჩი“ აღნიშნავს, რომ ოლიმპიადა, როგორც ასეთი, ადამიანიური იდეალების: ღირსებისა და სიკეთის გამყარებას ეხმარება. ამიტომაც დაუშვებელად მიიჩნევს ოლიმპიური თემაშებისთვის მზადებისას ადამიანის უფლებების ამგავრი სახის დარღვევებს.

სანამ უფლებადამცველები ანგარიშისთვის უფლებადამრღვევთა „ქეისებს“ იკვლევდნენ, საერთაშორისო ორგანიზაციის „რეპორტიორები საზღვრებს გარეშე“ აქტივისტებმა პარიზში რუსეთის საელჩოს წინ მოაწყვეს საპროტესტო აქცია — შენობის ღობესთან 70-მეტრიანი ბანერი გაშალეს, რომელზეც ოლიმპიადის ხუთრგოლიანი ლოგო დასისხლიანებული კასტეტის ფორმითაა გამოსახული. ამ ორგანიზაციის ინფორმაციით, 2000 წლიდან დღემდე რუსეთის ფედერაციაში 28 ჟურნალისტი მოკლეს.

უფლებადაცვითი საერთაშორისო ორგანიზაციების გარდა, ცნობილი სპორტსმენებიც გამოთქვამენ უკმაყოფილებას ოლიმპიური თამაშებისთვის შექმნილი პირობების, არსებული მოედნებისა და სარბენი ბილიკების ხარისხის გამო. ვანკუვერის ოლიმპიადის ოქროსმედალოსანმა ბიატლონისტმა სვეტლანა სლეპცოვამ არაერთხელ მიუთითა საბეატლონო გზების არსებულ სტანდარტებთან შეუსაბამობა, ფრანგმა ბეატლონისტმა მარი დორენ-აბერმა კი ასე აღწერა ქალაქი სოჭი: „ძალიან უცნაური ქალაქია, ქალაქი-მოჩვენება აშენებულია იქ, სადაც არაფერია, მდიდრული სახლები კი როგორც სოკოები, სიბინძურიდან იზრდებიან, გარშემო მანქანებით გადათხრილი მიწა, გათანგული მუშებია. ისეთი შთაბეჭდილებაა, რომ გარშემო სიცარიელეა და დისკომფორტს გაგრძნობინებს. ისედაც მძიმე დღე ჩვენ აეროპორტში ლოდინში დავაღამეთ, ოცდამეათედ ვაჩვენეთ პასპორტი, ფოტოს გვიღებდნენ ჩვენც და სასპორტო თოფის მონაცემებსაც. რა უნდა შეიცვალოს აქ უკეთესობისკენ? აქ მხოლოდ დახარჯულ დიდ ფულს ვხედავ და აბსოლუტურად არ ვეთანხმები იმას, რომ აქ ოლიმპიური სული იგრძნობა“.

ფიგურულად მოსრიალე ალექსეი იაგუდინმა ასევე აღნიშნა მისი უარყოფითი დამოკიდებულება სოჭში მიმდინარე სამუშაოების ხარისხთან დაკავშირებით და დასძინა: „სოჭი — ნაგავსაყრელი და უტიფრობაა. და აქ უნდა ჩატარდეს ოლიმპიური თამაშები?“

მას მერე, რაც რუსეთმა ოლიმპიური (ბუნებრივია, მისი თანამდევი პარაოლიმპიურიც) თამაშების ქვეყნის ტერიტორიაზე გამართვის უფლება მოიპოვა, სოჭი-2014-ს პუტინის ბავშვს (Putin' s Baby) უწოდებენ, რადგანაც რუსეთის ფედერაციის ლიდერი ყველანაირ პოლიტიკურ ბერკეტებს იყენებდა, რათა სუბტროპიკული ზონის ქალაქისთვის ზამთრის ოლიმპიური დედაქალაქის წოდება მოეპოვებინა. იგი იმდენად პირდაპირ და ღიად იყო ჩაბმული ამ რბოლაში, რომ არაერთ ექსპერტს აღუნიშნავს: პუტინს ეს თამაშები იმისთვის ესაჭიროებოდა, რომ ეჩვენებინა თავისი იმპერიული ძალა როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე ქვეყნის გარეთ, რათა თავისი პოლიტიკური წარმატებითა და „ნაციონალური პროექტის“ სიძლიერით მთელი მსოფლიო გაეოცებინა. ექსპერტები უსაფრთხობასასთან დაკავშირებული პრობლემების გარდა, ასევე აღნიშნავენ მოსალოდნელი ეკოლოგიური კატასტროფის ნიშნებსაც, რადგანაც ოლიმპიური სოფელი სოჭის ნაციონალური პარკის ადგილას შენდება, ხოლო რკინიგზისა და სამანქანო გზების მშენებლობამ უნიკალურ ეკოლოგიურ სისტემას პრობლემები შეუქმნა. სოჭი არა მარტო სეისმურად არამდგრადი რეგიონია, არამედ მისთვის ტემპერატურის მკვეთრი ცვალებადობაცაა დამახასიათებელი, რაც ზამთრის სასპორტო სახეობებში შეჯიბრებების ნორმალურად ჩატარებას ხელს შეუშლის. ასევე პრობლემური იქნება ღონისძიებების ხელოვნური თოვლით მომარაგება. ამას გარდა, სოჭის ოლიმპიადაზე დახარჯული კოლოსალური თანხა — 50 მილიარდი დოლარი — აშკარად აჭარბებს წინა წლების ზაფხულის ოლიმპიადების ღირებულებას. თანხის ხარჯვა ხდება გაუმჭვირვალედ. აკი აღიძრა კიდეც საქმე 260 მილიონი დოლარის გაფლანგვის თაობაზე. ამ და სხვა პრობლემების გამო ექპერტები პროგნოზირებენ, რომ სოჭის ოლიმპიადის შემდეგ ქალაქი ვერ მოიზიდავს ვერც დამსვენებლებს და ვერც უძრავი ქონების მყიდველებს. ამერიკული „ნიუ იორკ თაიმსი“, რომელიც სოჭს საბჭოურ სანატორიუმებიან რუსული რივიერას დედაქალაქს უწოდებს წერდა, რომ რუსულ მედიაში ოლიმპიური „აღმშენებლობის“ კრიტიკას მკაცრი ტაბუ ადევს. პუტინის პრესსპიკერმა კი განაცხადა, შესაძლოა, ამერიკელები სოჭის ოლიმპიადას ცივი ომის დროინდელი სტერეოტიპებით საზღვრავენო, არადა სოჭის ოლიმპიადის მიზანი არის ის, რომ ვაჩვენოთ: რუსეთი ყველასთვის ღია ქვეყანაა და ჩვენ ტურისტებისა და ინვესტიციების მოზიდვა გვინდაო.

* * *

2012 **წლის** დეკემბერში საქართველოს პრემიერ-მინისტრმა განაცხადა, რომ სოჭის ოლიმპიადაში მონაწილეობით საქართველო რუსეთთან ურთიერთობას დაალაგებს და მეგობრობასაც აღადგენს. საკითხი იმის თაობაზედ, თუ რამდენად დაგვეხმარება ოლიმპიურ თამაშებში ჩვენი სპორტსმენების მონაწილეობა სარკოზის 6-პუნქტიანი გეგმის შესრულებაში ანდა ჟენევის ფორმატის მოლაპარაკებების წარმატებაში, წარსული გამოცდილებიდან ისედაც ცხადია. თუმცაღა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სპორტმენების ცხოვრებაში ოლიმპიური თამაშები ყველაზე მნიშვნელოვანი ღონისძიებაა. მაგრამ მსოფლიო არ იცნობს პრეცედენტს, როცა დამპყრობლის ტერიტორიაზე გამართულ თამაშებში დაპყრობილ ქვეყანას მონაწილეობა სწორედ იმისთვის მიეღოს, რომ ოკუპაცია „აელაგმოს“. რაც შეეხება კულტურულ ურთიერთობებს, ისინი საქართველოსა და რუსეთ შორის არსოდეს შეწყვეტილა, რასაც მოწმობს 2008 წლის შემდგომი პერიოდი, როდესაც სახელოვნებო კოლექტივები საქართველოდან რუსეთში მიემგზავრებოდნენ, ანდა — პირიქით და მათი გადაადგილებისთვის რაიმე სახის პრობლემა არასოდეს შექმნიათ. საქართველოს ოკუპაცია არის უპირველესად პოლიტიკური პრობლემა, რომლის მოგვარებასაც როგორც ქვეყნის, ასევე საერთაშორისო თანამეგობრობის პრინციპული პოზიცია სჭირდება. იმ პირობებში, როცა რუსეთი 5 წლის წინანდელი შეთანხმების არშესრულებასთან ერთად, უკვე თვითნებურად ორი ასეული მეტრით საქართველოს შიგნით წევს საზღვარს, ხოლო რუსულ ბაზარზე „ღვინის შემშვების“ საკითხი არა რუსული მხარის კეთილი ნების, არამედ მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის შიდა რეგულირებით გვარდება, დიდ სკეფსისს იწვევს, რომ ოლიმპიურ თამაშებში საქართველოს მონაწილეობამ ქვეყნისთვის რაიმე საგრძნობი პოზიტიური ცვლილების ინიცირება შესძლოს.

ია მერკვილაძე,
ნიუ-იორკი, აშშ

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

◎ ახალი წიგნი

ამისთვის უდავოდ მადლობას იმსახურებს „მაგთი“

„მაგთიკომმა“ გიგა ბათიაშვილის შემოქმედება დააოვასა

„ყველა არქიტექტურული ქმნილება, რაც შექმნილია საქართველოში, ისევე, როგორც სხვა ერების მიერ თავიანთ ქვეყნებში, განურჩევლად მიზნობრივი დანიშნულებისა (საკულტო შენობები, ფორტიფიკაციული ნაგებობები, საცხოვრებელი სახლები თუ საზოგადოებრივი დანიშნულების ობიექტები), წარმოადგენენ ეროვნული შემოქმედებითი ფენომენის შედეგს, რომლის მაცოცხლებელია ადგილის „სული“. თბილისის ისტორიულ უბნებში თბილისური სახლების — თბილისური ეზო არის ის, რასაც შეიძლება ეწოდოს ადგილის დედა, ადგილის სული, ვინაიდან, უმთავრესად სწორედ აქ ხდებოდა და ახლაც ხდება ფორმირება ყოველივესი, რასაც თბილისური ქვია“, — წერს არქიტექტორი გიგა ბათიაშვილი წიგნში **„ჩემი ცხოვრება თბილისურ არქიტექტურაში“. გამოცემა ვერასოდეს იხილავდა დღის სინათლეს, რომ არა კომპანია „მაგთიკომი“. ალბათ, ხვდებით, რომ არა ვართ ორიგინალურები და არც პირველად ვწერთ „მაგთის“ ქველმოქმედებაზე, იმაზე, რომ მობილური კავშირგაბმულობა ქართულ საქმეს აკეთებს, უკვე კარგა ხანია.**

წიგნი დაიბეჭდა გამომცემლობა „უსტარში“. რედაქტორი გახლავთ **გიორგი ანთელავა.** მასში შესულია ავტორის შეხედულებები და განცდილ-ნააზრევი თბილისზე, თბილისელობაზე, ქალაქის ისტორიულ ღირებულებებსა და განვითარების პერსპექტივებზე, გიგა ბათიაშვილის ცხოვრებაზე. ასევე შესულია მისი ამონარიდები საჯარო გამოსვლებიდან, სტატიებიდან, დოკუმენტური ასლები. წიგნი ილუსტრირებულია სხვადასხვა წლებში არქიტექტორის შექმნილი არქიტექტურული მოსაზრებების ესკიზებით, პროექტებით, შენობების ფოტოებითა და გრაფიკულ-ფერწერული ნახატებით.



„ჩემი ცხოვრება თბილისურ არქიტექტურაში“ ძალიან საინტერესო აღმოჩნდა იმ ფართო წრისთვის, ვინც ბატონ გიგა ბათიაშვილს იცნობს. ამიტომაც მოულოდნელი არ იყო სტუმართა სიმრავლე მასპინძლებისთვის „მაგთის“ კლუბში, სადაც წიგნის პრეზენტაცია გაიმართა. გემოვნებიანი მუსიკა, ქართული ღვინო და ტკბილი სიტყვები არქიტექტორზე საღამოს კიდევ უფრო შთამბეჭდავს ხდიდა.

„მადლობა შესანიშნავი ორგანიზებულობისთვის, მადლობა ყველა ჩემს მეგობარს, თანამოაზრეს, სტუმარს, — აღნიშნა გიგა ბათიაშვილმა, — **ბედნიერებაა, რომ არსებობს საზოგადოება, რომელიც ზრუნავს ქვეყნის კულტურაზე. მართლაც, რომ უზარმაზარ საქმეს აკეთებს „მაგთი“. წიგნი ორი წელიწადი დასაბეჭდად მზად იყო, მაგრამ ბევრ შემთხვევაში უკან დაიხიეს, ზოგს შეეშინდა გამოცემის, „მაგთიმ“ კი პირიქით, ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რომ ეს წიგნი დამეტოვებინა ქართველებისთვის, მომავალი თაობისთვის“.**

„არ მინდა, დავიჯერო, გიგა, რომ ჩვენი თაობა უკანასკნელია ხელოვნების ოსტატთა შორის, — ასე მიმართა მეგობარს არქიტექტორმა ვახტანგ დავითაიამ, — **„ვარდების რევოლუციის“ 9-წლიანმა დილეტანტიზმმა ლამის ბოლო მოუღო კულტურას. ამის მიუხედავად, მაინც გალეწა კალო ჩვენმა თაობამ. ქართულ არქიტექტურას აწყენინეს, ჩვენ ყველას დაგვწყვიტეს გული... გიგა ნაღდი პროფესიონალია, საზოგადო მოღვაწე. იგი დიდ კაშხალს ჰგავს, რომელსაც უამრავი ნასვრეტი აქვს, საიდანაც წყალი გადმოედინება. ამ წიგნმა ყველაფერი ერთ სადინარში მოაქცია, რომელიც კარგ წარმოდგენას უქმნის მკითხველს“,** — **დასძინა მან.**

ბატონი გიგა წერს: „რაც შეეხება ყოველივე იმას, რაც ამ წიგნში განვათავსე, შედეგია იმისა, რომ ბოლო წლებში ნაკლებად ვიყავი დაკავებული არქიტექტურული შემოქმედებითი საქმიანობით. თითქმის არ მქონდა დაკვეთები არქიტექტურული პროექტების შექმნაზე. რამაც მეტი დრო გამიჩინა, მეფიქრა ჩემს პროფესიულ სამყაროში და, საზოგადოდ, ქვეყანაში შექმნილ ზოგიერთ პრობლემაზე, გამომემზეურებინა ისინი და მემსჯელა მათზე, რათა სამომავლოდ მსგავსი პრობლემები ნაკლებად გაუჩნდეს საერთოდ საზოგადოებას და მათ შორის, შემოქმედ ადამიანებს“.

ამიტომაც, წიგნის თვალის გადავლება საკმარისი არ არის. უთუოდ უნდა წაიკითხოთ, რათა მეტი გაიგოთ ფუნიკულიორის, მეტროპოლიტენის, ტელეცენტრის, სიონის, სანაპიროს, შარდენის ქუჩისა და სხვა ბევრი საინტერესო არქიტექტურული ნიმუშის ავტორზე.

ჩვენდათავად, სხვა კიდევ საინტერესო გამოცემებს ველოდებით „მაგთის“ ქველმოქმედებით განებივრებულები, ტრადიციად რომ აქცია ქართული კულტურის აფიშირება, საჯაროდ გამომზეურება ყველა კეთილი საქმისა, რაც კი შემოქმედ ადამიანებს შეუქმნიათ... ამისთვის, უდავოდ მადლობას იმსახურებს „მაგთი“ და მისი მესვეური გია ჯოხთაბერიძე, შემოქმედებით გუნდთან ერთად!

თეა მოსია

◎ იცხოვრეთ ჯანსაღი ცხოვრებით

თამბაქო — რეკლამირებული სიკვდილი

საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში თამბაქოს მოხმარება იკრძალება. მთავრობის კიდევ ერთი ინიციატივა ამჯერად სიგარეტისა და ალკოჰოლის მოხმარების შემცირებას უკავშირდება. კანონში ცვლილებები მზადდება და კონტროლი ამ პროდუქტების მოხმარებაზე სავარაუდოდ გამკაცრდება.

ცნობილია, რომ რეკლამა დიდ ზემოქმედებას ახდენს ადამიანის ფსიქიკაზე. ლამაზად გაფორმებული ბანერები, სატელევიზიო რეკლამები, რა თქმა უნდა, მოზარდის ყურადღებას იქცევს — გვითხრა თამბაქოს კონტროლის ალიანსის ხელმძღვანელმა ბიორგი ბახტურიძემ, — მისი თქმით, საქართველოში, თამბაქოსგან გამოწვეული დაავადებებით, ყოველწლიურად, 9 ათასიდან — 11 ათასამდე ადამიანი იღუპება. მათ შორის 3 ათასი პასიური მწეველია.

— ბატონო გიორგი, სახელმწიფომ რა ღონისძიებები უნდა გაატაროს იმისთვის, რომ დაიცვას მომავალი თაობის ჯანმრთელობა და სიცოცხლე?

— საქართველოს პარლამენტმა 2005 წელს თამბაქოს კონტროლის შესახებ ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის ჩარჩო კონვენციის რატიფიცირება მოახდინა, რითაც აიღო საერთაშორისო პასუხისმგებლობა, შეესრულებინა ნაკისრი ვალდებულება. თუმცა, მათგან მცირე ნაწილია შესრულებული. ფაქტია, რომ დღემდე საქართველოში თამბაქოს საწინააღმდეგო პრევენციული ღონისძიებები არ ტარდებოდა. ჩვენ არაერთხელ ჩავატარეთ საინფორმაციო კამპანია სკოლებსა და სხვა დაწესებულებებში, მაგრამ ეს ზღვაში წვეთია... თამბაქოს კონტროლი ჩვენს ქვეყანაში „აქილევსის ქუსლია“. აუცილებელია, სასწავლო დაწესებულებებში საგიტაციო პროპაგანდის წარმოება. განათლების სამინისტრომ კი, უნდა შეიმუშაოს პედაგოგთა გადამზადების სპეციალური პროგრამა. მასწავლებელმა მოზარდს უნდა მიაწოდოს ინფორმაცია თამბაქოს მავნეობის შესახებ. უნდა შეიქმნას სპეციალური სერვისები, რომლებიც ადამიანს დაეხმარება სიგარეტის მოწევის თავის დანებებაში. აუცილებელია, საზოგადოებრივ თავშეყრის ადგილებში, სასწავლო, კულტურულ და სპორტულ დაწესებულებებში თამბაქოს მოხმარების მკაცრად აკრძალვა.

— კანონით ხომ ეს ისედაც აკრძალულია?

— რა თქმა უნდა, მაგრამ არ სრულდება. კანონი თამბაქოს კონტროლის შესახებ 2003 წელს მიიღეს. იგი, შედარებით, სუსტი იყო, 2008 წელს კი, შეიცვალა და უფრო გამკაცრდა. კანონი რომ მოქმედებდეს, ამისათვის საჭიროა ადმინისტრაციულ-სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილებების შეტანა და საჯარიმო სანქციების დაწესება.

— რას გვეტყოდით თამბაქოს ინდუსტრიაზე?

— სამწუხაროდ, თამბაქოს ინდუსტრია კარგად არის განვითარებული. მისი ზემოქმედების შედეგად უამრავი ადამიანის ჯანმრთელობა ილახება... ფაქტია, რომ თამბაქოს ინდუსტრია უხეშად ერევა ჯანდაცვის პოლიტიკის შემუშავების და განხორციელების პროცესში. ასევე, დიდია ლობისტების ზეგავლენაც... სახელმწიფოს ყველა ბერკეტი აქვს იმისთვის, რომ თამბაქოს მომხმარებელთა რიცხვი შეამციროს.

— რა ინფორმაცია გაქვთ თამბაქოს ხარისხზე?

— დღეს, ფაქტობრივად, ბაზარი გაჯერებულია უხარისხო პროდუქციით. საქართველოში, 2004 წლიდან გაუქმდა ლიცენზია თამბაქოს წარმოებასა და ხარისხის კონტროლზე. ამჟამად, თურქეთიდან შემოდის განადგურებას დაქვემდებარებული, დაბინძურებული ნედლეული, რომელიც უფასოდ გადაეცემათ ქართველ მეწარმეებს. საქართველოში კი ნედლეულს ხელმეორედ ამუშავებენ, აფასოებენ და ლამაზად შეფუთულს ყიდიან. აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ თამბაქოს წარმოების პროცესში ურევენ ისეთ ქიმიურ ნივთიერებებს, რომლების 2-3-ჯერ ზრდის ნიკოტინზე დამოკიდებულებას.

— გამოდის, რომ ეს კრიმინალური ბიზნესია, რაც, ფაქტობრივად, არ კონტროლდება?

— მართალი ბრძანდებით, კრიმინალური ბიზნესია, რომელიც წახალისებული იყო სახელმწიფოს მხრიდან. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის რეკომენდაციით, თამბაქოს ინდუსტრიას პრიორიტეტი არც ერთ ქვეყანაში არ უნდა ჰქონდეს, ჩვენთან კი, პირიქითაა. თამბაქო არის პროდუქტი, რომელიც სიკვდილს იწვევს, ანუ ეს არის ლეგალიზებული სასიკვდილო ნივთიერება, რომლის რეალიზაცია ნებადართულია. ამასთან, მოსახლეობამ უნდა იცოდეს, რომ სიგარეტი საშიშია მათი ჯანმრთელობისთვის. თამბაქო სხვადასხვა დაავადებებთან ერთად, მამაკაცებში იმპოტენციასაც იწვევს. სიგარეტის მოწევის შედეგად, ქალებში 2-3 პროცენტით მოიმატა ფილტვის სიმსივნემ... დღეს, ყოველი მე-4 ადამიანი იღუპება თამბაქოსგან გამოწვეული დაავადებების შედეგად. ასე რომ, თამბაქომ შეიძლება ერის დეგრადაცია გამოიწვიოს, ამიტომ მოვუწოდებ თითოეულ მწეველს, უარი თქვას სიგარეტზე, გაუფრთხილდეს საკუთარ ჯანმრთელობას და იცხოვროს ჯანსაღი ცხოვრების წესით!

მზია გოგოძე

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

◎ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

საქართველოს სახიფათო დრეიფი ნატოს მიმართულებით

საქართველოს დედაქალაქში ხელისუფლება შეიცვალა, როდესაც ბიძინა ივანიშვილის პარტია „ქართულმა ოცნებამ“ არჩევნებში გამარჯვება მოიპოვა. მართალია, პრემიერ-მინისტრი ივანიშვილი მტრულადაა განწყობილი დასავლეთის საყვარელი ადამიანის პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილისადმი, იგი ძალ-ღონეს არ იშურებს მიიღოს ნატოსგან უსაფრთხოების გარანტია რუსეთის მხრიდან. ვაშინგტონმა მტკიცე წინააღმდეგობა უნდა გაუწიოს იმას, რაც საქართველოსთვის შეიძლება კოშმარად იქცეს.

საქართველოს მძიმე წლები ჰქონდა, როდესაც 20 წლის წინათ გამოვიდა საბჭოთა კავშირის შემადგენლობიდან. სააკაშვილმა 2003 წლის „ვარდების რევოლუციის“ დროს დაამხო ყოფილი საბჭოთა საგარეო საქმეთა მინისტრი ედუარდ შევარდნაძე. დასავლეთში სწავლობდა სააკაშვილი და მხარდაჭერისთვის იგი ხშირად მიმართავდა შეერთებულ შტატებსა და ევროპას. მაგრამ, როდესაც საქართველოს ლიდერმა დაიწყო და წააგო ომი რუსეთთან 2008 წელს, ის მარტოობაში აღმოჩნდა.

სააკაშვილის მთავრობამ ნატოსთან პარტნიორობის ინდივიდუალური გეგმა მიიღო და თავისი ჯარები გაგზავნა ავღანეთში უშიშროების მხარდაჭერის საერთაშორისო ძალების შემადგენლობაში. 2006 წელს თბილისი შევიდა საინტენსიფიკაციო დიალოგში ჩრდილოატლანტიკური ალიანსის წევრობასთან დაკავშირებით, 2008 წლის აპრილში კი ალიანსის წევრი ქვეყნების ლიდერები თავიანთ სამიტზე შეთანხმდნენ იმაზე, რომ საქართველო გარკვეული დროის განმავლობაში შევა ნატოს შემადგენლობაში.

უფრო მეტიც, სააკაშვილი ყოველთვის ხაზგასმით აღნიშნავდა თავის პირად კავშირურთიერთობებს ამერიკასთან. მან მრჩევლად დაიქირავა სენატორი ჯონ მაკკეინი და თავისი ჯარები გაგზავნა ერაყში. პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა არ დაიშურა თბილისისთვის ქება და ფული, აგრეთვე, ჩავიდა იქ სახელმწიფო ვიზიტით. ბუშის ადმინისტრაცია ორივე ხელით უჭერდა მხარს ამ ქვეყნის ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში შესვლას.

მაგრამ ნატოს წამყვანი ევროპული წევრები უფრო ნაკლებად იყვნენ განწყობილი ბირთვულ სახელმწიფო რუსეთთან კონფრონტაციის გამო სასაზღვრო დავასთან დაკავშირებით. 2008 წლის კონფლიქტმა დაადასტურა ამ ქვეყნების პოზიციის სისწორე. მიუხედავად ამისა, ბუშის ადმინისტრაცია კვლავ დაბეჯითებით მოითხოვდა საქართველოს წევრად მიღებას. იგივეს აკეთებს ობამას ადმინისტრაციაც, თუმცა, უფრო ნაკლები ენთუზიაზმით. შარშან სახელმწიფო მდივანმა ჰილარი კლინტონმა განაცხადა, რომ ნატოს 2012 წლის სამიტი ჩიკაგოში გახდებოდა უკანასკნელი შეხვედრა, რომელიც განიხილავდა ალიანსის გაფართოების საკითხს. საქართველო ბოსნიასთან და ჰერცოგოვინასთან ერთად ერთ-ერთი პირველია რიგში შესვლასთან დაკავშირებით, ასევე მაკედონიასთან და ჩერნოგორიასთან ერთად. მცოდნე ხალხი ნატოში ამბობს, რომ საქართველოს წევრობის მოწინააღმდეგე უკვე ნაკლებია, მაგრამ ალიანსის ზოგიერთი წევრი ძველებურად ამას უარყოფითად უყურებს, მათ შორის გერმანია. კარლ ჰეინც-კამპმა ნატოს სამხედრო კოლეჯიდან ამ თემაზე სამეცნიერო ნაშრომიც კი დაწერა, რომელშიც აღიარა: „გაფართოების საკითხში საქართველო საჯილდაო ქვად იქცა“.

მიუხედავად ამისა, ნატო და საქართველო კვლავ ისე იქცევიან, თითქოს სიტყვა „დიახ“ ეს უტყუარი პასუხია თხოვნაზე შესვლის შესახებ. ალიანსის წარმომადგენლები რეგულარულად ჩადიან თბილისში. შარშან აპრილში ნატოს გენერალურმა მდივანმა ანდერს ფოგ რასმუსენმა განაცხადა: „საქართველო ეს განსაკუთრებული პარტნიორია ნატოსთვის“. ორი თვის შემდეგ ალიანსის გენერალური მდივნის მოადგილემ ალექსანდრ ვერშბოუმ თბილისში განაცხადა: „ნატოს სამიტზე ბუქარესტში 2008 წელს მოკავშირეებმა გადაწყვიტეს, რომ საქართველო გახდება ნატოს წევრი. ჩიკაგოს სამიტმა აშკარად გვიჩვენა, რომ მოკავშირეები მხარს უჭერენ ამ გადაწყვეტილებას და აღიარებენ იმ წარმატებებს, რასაც საქართველომ მიაღწია ალიანსის მოთხოვნათა შესრულების გზაზე.“

შარშან ალიანსმა მოაწყო თავისი ყოველწლიური „ნატოს კვირა საქართველოში“. აი, რა თქვა ამასთან დაკავშირებით ნატოს სპეციალურმა წარმომადგენელმა ჯეიმს აპატურაიმ: „მეტად მნიშვნელოვანია, რომ ქართველ ხალხს ესმის არა მხოლოდ ნატოს წევრობის მიზანი, არამედ ისიც, თუ რა არის ნატო და რას აკეთებს იგი“.

საქართველოს ხელმძღვანელებს ეს კარგად ესმით. ნატოს წევრობა მისცემს მათ უშიშროების ამერიკულ გარანტიებს. თბილისი მთელი ძალით ისწრაფვის მიიღოს ამგვარი ვალდებულება. მაიკლ სესაირმა საგარეოპოლიტიკური კვლევის ინსტიტუტიდან ამ ცოტა ხნის წინათ დაწერა: „თბილისს სურს, გამოასწოროს ზედმეტი ტვირთის თავისი რეპუტაცია ევროატლანტიკური უსაფრთხოებისთვის, რაც საქართველომ მიიღო 2008 წელს რუსეთთან ხუთდღიანი ომის შემდეგ, და დაიწყო თავისი წვლილის შეტანა ასეთი უსაფრთხოების უზრუნველყოფაში“.

ახალმა მთავრობამ დაადასტურა თბილისის სურვილი შევიდეს ნატოში, გააორმაგა ავღანეთში ქართული კონტინგენტის რიცხოვნობა და გააგრძელა ამერიკის შეერთებულ შტატებთან ერთობლივი სამხედრო სწავლებისა და საბრძოლო მომზადების პრაქტიკა. ამ ცოტა ხნის წინათ საქართველომ გამოაცხადა თავისი განზრახვის შესახებ, გაგზავნოს ჯარები ევროკავშირის სასწავლო მისიის შემადგენლობაში მალიში. წელს თბილისმა დაიწყო სამხედრო თანამშრომლობის განვითარება უნგრეთთან და ლიტვასთან. და რაც მთავარია, თბილისმა გამოაცხადა თავისი გეგმების შესახებ, გადააქციოს ქართული არმია კონტრტერიტორიულ ძალად „გონივრული თავდაცვის“ ნატოს დოქტრინის ფარგლებში, რომელიც ითვალისწინებს შრომის დანაწილებას ალიანსის წევრებს შორის. ესე იგი, საქართველო პრაქტიკულად განიარაღდება რუსეთის წინაშე იმის იმედით, რომ დასავლეთი შესთავაზებს მას თავის დაცვას.

სავსებით გასაგებია თბილისის მისწრაფება მიიღოს დაცვა დიდი სახელმწიფოსგან. მაგრამ ეს არ არის მიზეზი იმისთვის, რომ შეერთებული შტატები დათანხმდეს ასეთ მდგომარეობაზე. ალიანსის მიზანია – ამერიკის უშიშროების უზრუნველყოფა. ცივი ომის პერიოდში ვაშინგტონი ნატოს დახმარებით არ უშვებდა საბჭოთა ბატონობას ევრაზიაში. მოსკოვი იყო ჰეგემონი და იდეოლოგიური მოწინააღმდეგე, რომელსაც აქვს დიდი სამხედრო ძალა და რომელიც ავლენს მზადყოფნას ძალის გამოყენებისთვის თავისი მიზნების მისაღწევად. დასავლეთი ევროპა მნიშვნელოვანი იყო ამერიკული უსაფრთხოებისთვის, ვინაიდან ეს იყო დიდი სამრეწველო ცენტრი დიდი მოსახლეობით, რომელიც დროებით დაუცველი აღმოჩნდა ომისშემდრომი ნგრევის პირობებში. ამრიგად, ამერიკამ მისცა ევროპას თავისი სამხედრო გარანტიები საკუთარი უსაფრთხოებისთვის.

რასაკვირველია, ნატოს არც ერთ წევრს არ სურდა, რომ ალიანსი წასულიყო ვარშავის ხელშეკრულების გზით. ამის ნაცვლად ბლოკმა გადაწყვიტა გაფართოებულიყო რუსეთის საზღვრამდე, თავის შემადგენლობაში შეიყვანა არა მხოლოდ ვარშავის ხელშეკრულების ორგანიზაციის ყოფილი წევრები, არამედ რესპუბლიკებიც, რომლებიც საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში შედიოდნენ. შედეგად ვაშინგტონმა უშიშროების გარანტია მისცა იმ სახელმწიფოებს, რომლებიც მოსკოვის ხელისუფლების ქვეშ იმყოფებოდნენ ცივი ომის მთელი პერიოდის განმავლობაში, ზოგიერთი კი მანამდეც. ნატო გასცემდა სამხედრო გარანტიებს, როგორც საღამოს წვეულებაზე მოწვევას.

უმრავლეს შემთხვევაში ომის გაჩენის საფრთხე დიდი არ ყოფილა. რუსეთი ეს რთული და არასასიამოვნო მსახიობია, მაგრამ იგი ძნელად რომ ჩაერთოს ომში თავის ყოფილ ვასალებთან. მოსკოვს არ ეყოფა არც ნებისყოფა და არც შესაძლებლობანი, ამას გარდა, მას არ აქვს სარწმუნო მიზეზებიც.

საქართველო ეს აშკარა და შეუწყნარებელი გამონაკლისია. თბილისი კანიდან ძვრება, ცდილობს გახდეს დასავლეთის მოწინავე ფორპოსტი რეგიონში, სადაც ოდითგანვე ძლიერი იყო რუსეთის ინტერესები. ბალტიის ქვეყნები, უკიდურეს შემთხვევაში, იყვნენ დამოუკიდებლები მათი სტალინური სსრ კავშირის შემადგენლობაში ჩართვამდე, და მათ ბევრი რამ საერთო ჰქონდათ ევროპულ ქვეყნებთან, რომლებსაც შეუერთდნენ. საქართველო კი იწვევს ვაშინგტონს რაიონში, სადაც იგი არასოდეს ყოფილა. მოსკოვის უკმაყოფილება სავსებით იყო წინასწარ განჭვრეტილი და აღმოჩნდა ძალიან ძლიერი.

უფრო მეტიც, სააკაშვილი იქცეოდა უკიდურესად დაუფიქრებლად, არ ჰქონდა ფორმალური გარანტიები ნატოს მხრიდან. შესაძლებელია, მოსკოვს სურდა ეს კონფლიქტი და მზად იყო გამოეყენებინა იგი, მაგრამ სროლა საქართველომ დაიწყო. ასეთი სახელმწიფო არ შეიძლება იყოს საიმედო მოკავშირე.

სავარაუდოა, რომ ნატომ უნდა გადააქციოს ამერიკა უფრო დაცულად. მაგრამ ნატოს წინწაწევა საქართველოს საზღვრებამდე გააძლიერებს ომის გაჩენის ალბათობას. თბილისის საბრძოლო მოქმედებათა დაწყების შემთხვევაში აფხაზეთთან და სამხრეთ ოსეთთან მათში შეიძლება ჩაერთოს მოსკოვი, და ეს მიგვიყვანს ნატოს კონფრონტაციასთან რუსეთთან. შედეგად შეიძლება დაიწყოს ომი, რისი თავის დაღწევაც დასავლეთმა შეძლო მთელი ცივი ომის პერიოდში. რასაკვირველია, იბრძოლებენ ძირითადად ამერიკელები – და ამ კონფლიქტს აქვს სახიფათო შესაძლებლობა გადაიზარდოს ბირთვულ ომში, განსაკუთრებით, თუ გავითვალისწინებთ რუსეთის შედარებით სუსტ არაბირთვულ ძალებს.

არ არსებობს აშკარა მიზეზები ნატოს შენარჩუნებისთვის, რომელშიც დომინირებს ამერიკის შეერთებული შტატები. ევროპელებს აქვთ უფრო დიდი სამხედრო პოტენციალიც და მოსახლეობაც, ვიდრე ამერიკას. მათი სამხედრო-საჰაერო პოტენციალი ათჯერ უფრო დიდია რუსეთისაზე, მოსახლეობისა კი – სამჯერ. ამიტომ ევროპელებმა თავად უნდა გადაწყვიტონ თავიანთი თავდაცვის საკითხები.

კიდევ უფრო ნაკლები მიზეზებია ნატოს შემდგომი გაფართოებისთვის, ვინაიდან ეს მას დაუმატებს პასუხისმგებლობის ტვირთს, ამ გაფართოებისგან სარგებელი კი უმნიშვნელოა. თუ ალიანსს გააჩნია კიდეც რაიმე ღირებულება, ეს არის ომის თავიდან აცილება. საქართველოს მის შემადგენლობაში შესვლით კი კონფლიქტი გახდება გაცილებით უფრო საალბათო. ვაშინგტონმა მტკიცედ უნდა თქვას თავისი საბოლოო უარი საქართველოს ნატოში შესვლასთან დაკავშირებით.

National Interest

დედამიწის ზურგზე

პრაღის ცენტრში გაისმა ძლიერი აფეთქების ხმა: დაიჭრა სულ ცოტა 13 კაცი

ჩეხეთის დედაქალაქის პოლიციის წარმომადგენელმა განმარტა, რომ ჯერჯერობით გაურკვეველია, თუ რა გახდა აფეთქების მიზეზი. თვითმხილველთა გამოხმაურებით, თეატრალური ქუჩა სავსეა ქვიშითა და შენობების ნანგრევებით. ტერიტორიას გარს შემოერტყნენ სამართალდაცვის ორგანოების თანამშრომლები. შენობის ნანგრევებში შეიძლება ხალხიც იყოს.

* * *

სირიაში დამასკოს ცენტრში პრემიერ-მინისტრის აფეთქების მცდელობის დროს დაიღუპა 10 კაცი

ვაილ ალ-ჰალკი გადარჩა ბომბის აფეთქების დროს მისი კორტეჟის გზაზე. ასაფეთქებელი მოწყობილობა ამოქმედდა მეზეს გაცხოველებულ კვარტალში. ტერორისტული აქტის შედეგად დაიღუპა პრემიერის ერთი მცველი და დაზარალდა სამი. არიან დაჭრილებიც.

* * *

ავღანეთის პრეზიდენტი ათი წლის განმავლობაში ღებულობდა დაზვერვის ცენტრალური სამმართველოებიდან ათობით მილიონ დოლარს ჩემოდნებით, ჩანთებითა და ტომრებით



პრესის მონაცემებით, დაზვერვის ცენტრალური სამმართველო ასე ყიდულობს მიღწევას ჰამიდ კარზაის დაახლოებულ პირებთან, მათ შორის ეროვნული უშიშროების საბჭოს წევრებთან, აგრეთვე ამ გზით ახდენს გავლენას ავღანეთის ხელისუფლებაზე. მაგრამ, ამავდროულად, ფულს აგზავნის ირანიც. ამერიკული ფულის ზოგიერთი მიმღები დაკავშირებულია „თალიბანთანაც“.

* * *

პერუს წყნარი ოკეანის სანაპიროსთან მარცხი განიცადა საჰაერო ბურთმა ტურისტებით

კალათაში იმყოფებოდა 7 კაცი: მათ შორის მფრინავი, ორი მამაკაცი და ხუთი ქალი. ქალები მოძებნეს. ისინი მიიყვანეს სამხედრო-საზღვაო ფლოტის ჰოსპიტალში. მამაკაცებს კვლავ ეძებენ. ვარაუდობენ, რომ სასეირნო ბურთი ჩავარდა ოკეანეში ძლიერი ქარის გამო.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

◎ შაბათ-კვირის ჩანაწერები

ძეგლი სიყვარულისა...

გაგვახსენეს კასპელებმა ქართულ ხალხურ მუსიკაში, ქართულ ხალხურ საკრავებში „ჩამწვარი“ კაცი ომარ კელაპტრიშვილი – ძეგლი დაუდგეს კასპში თავიანთ ღირსეულ თანამემამულეს. ცხადია, იმსახურებს ომარი ამ სიყვარულს, მომავლის წინაშე ამ აღიარებას...

როცა ვამბობ, „მომავლის წინაშეო“, თქვენ მოგმართავთ, კასპელო ახალგაზრდებო. იცით, გასწავლიან, თუ რა დამსახურება მიუძღვის ომარ კელაპტრიშვილს – თქვენს თანამემამულეს ქართული ხალხური მუსიკის წინაშე?.. ომარს მამამ შეაყვარა უძველესი ქართული საკრავი – სალამური, მე რა ვარ, ის უკრავს თუ უკრავსო, ამბობდა ხოლმე მამამისზე, ხოლო, მერე და მერე, თუ როგორ ასახელა თავისი მშობლიური კავთისხევი მესალამურე ბიჭმა, როგორ მოუხვეჭა მსოფლიო სახელი ქართულ ინსტრუმენტალურ ხელოვნებას, ამაზე ანსამბლ „რუსთავის“ დამაარსებელი, რესპუბლიკის სახალხო არტისტი **ანზორ ერქომაიშვილი** მოგვითხრობს:

– მთავარი დამსახურება ომარისა ის არის, რომ საქართველოში პირველმა მან აამღერა უმაღლეს დონეზე თითქმის მივიწყებული სალამური, მწყემსის ეს პატარა საკრავი, და, რაც უაღრესად მნიშვნელოვანია, სხვებს – აუარება ბიჭუნას შეაყვარა იგი...

აი, ნახეთ, რას წერს გაზეთი „საარბრიუკენ ცაიტუნგი“ მისი შესრულების შესახებ:

„ომარ კელაპტრიშვილმა ვირტუოზულად დაუკრა სალამურზე მოცარტის „რონდო“ და ქართული მუსიკალური ნაწარმოებები... ამ კონცერტის მწვერვალად იქცა ომარ კელაპტრიშვილის გამოსვლა, რომელიც წარმოუდგენელი ვირტუოზობით უკრავდა არა მარტო ერთ, არამედ ორ სალამურს ერთად“...

ეს მცირედი ამონარიდია, კასპელო ახალგაზრდებო, იმ უცხოური პრესისა, სადაც თქვენს ღირსეულ თანამემამულეზე წერენ. მართალია, ომარ კელაპტრიშვილი ნაადრევად წავიდა ამქვეყნიდან, მაგრამ დატოვა წარუშლელი კვალი ქართული ხალხური მუსიკის სამსახურში, ძეგლი სიყვარულისა – მშობელ კუთხეში და ძეგლი – არდავიწყებისა ყველა კასპელის გულში.

ეს კი, ჩემგან არ გესწავლებათ, ადამიანი მარადიული სიცოცხლეა!..

ირაკლი ტრიპოლსკის და ვალერი გელაშვილს –

საქართველოს პარლამენტის უმრავლესობის წევრებს, დუშეთისა და ხაშურის რაიონების მაჟორიტარ დეპუტატებს

ბატონო ირაკლი!

ყველა ნორმალურ ქართველს შეაშფოთებდა, ისეთი სიუჟეტი გადმოსცეს ამ რამდენიმე დღის წინათ ტელევიზიით (არხი აღარ მახსოვს): გაპარტახებულია, გავერანებულია, შეიძლება ითქვას, უპატრონოდ მიგდებულია დუშეთში ილია ჭავჭავაძის სახელ-მუზეუმი, ეზო-გარემო... ილიას ბიუსტი ხომ მოხსნა და მოიპარა ვიღაც ხელმრუდმა და უგვანმა ამ ცოტა ხნის წინათ, თავად მუზეუმი რას გავს, ძმაო, ირაკლი!.. ასეთი გასაცოდავებული ნაგებობა, ალბათ, არც დგას მთელ დუშეთში! რა ხდება?! რაშია საქმე?! ასე უფრთხილდებიან აქაურები იმ სიძვირფასეს, რაც დიდი ილიას სახელს უკავშირდება?! სირცხვილია და თავის მოჭრაა ეს ყოველივე!.. ზაფხული მოდის, ტურისტული სეზონი დგება, დუშეთსა და მის მიდამოებს ხალხი არ მოაკლდება და ილია ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმის შენობა ამ დღეში უნდა დახვდეს ახლობელს თუ უცხოელს?!

თქვენ არ გაკლიათ მამულიშვილობა, რომ სასწრაფო ყურადღება მიაქცევინოთ დუშეთის გამგეობას თუ საკრებულოს ილიას სახლ-მუზეუმის გასაახლებლად.

აბა, თქვენ იცით!

ბატონო ვალერი!

ისეთივე მდგომარეობაშია დიდი მამულიშვილის დიმიტრი ყიფიანის სახლ-მუზეუმი ქვიშხეთში, როგორც ილია ჭავჭავაძისა – დუშეთში. იყო დრო, როდესაც ეს ადგილი ერთ-ერთი საყვარელი, ღირსშესანიშნავი და სიმყუდროვით სავსე, ჭეშმარიტად, სავანე იყო ქართველი მწერლებისა, ვინ აღარ ისვენებდა აქ, სახლეულით ჩამოდიოდნენ ზოგიერთები, ცხადია, მოგეხსენებათ, დიდი მიხეილ ჯავახიშვილი აქედან წაიყვანეს 1937 წელს მოუსავლეთში. აგერ, გვიანობამდე, აქ ატარებდნენ ცხელი ზაფხულის დღეებს ქართველი მწერლები...

დღეს კი, რომ იტყვიან, აღარ შეეხედება აქაურობას, არადა, დიდი დიმიტრი ყიფიანის სახლ-კარი, ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, არ არის ამის ღირსი.

ჰოდა, ველით თქვენს მამულიშვილურ რეაგირებას!

ვილენ მარდალეიშვილი

◎ ფესტივალი ერევანში

ლექსები აკაციათა ჩრდილქვეშ

პოეზიის პირველი საერთაშორისო ფესტივალი დასრულდა სომხეთში. ფესტივალი მიმდინარეობდა იმ ღონისძიებათა კონტექსტში, რომლებიც დაკავშირებული იყო ერევნის 2012 წელს წიგნის მსოფლიო დედაქალაქად გამოცხადებასთან. ფესტივალს არ ჰქონდა კონკრეტული თემატიკა: მისი მიზანი იყო მასშტაბური ღონისძიების მოწყობა, რომელიც მიძღვნილი იყო მთლიანად პოეზიისადმი. მისმა მონაწილეებმა მოინახულეს სომხეთის უმაღლესი სასწავლებლები და გამართეს შეხვედრები სტუდენტებთან. გაიმართა როგორც სომეხი, ისე უცხოელი პოეტების წიგნების პრეზენტაცია. მთელი მსოფლიოს სომეხთა სასულიერო ცენტრში კათოლიკოსმა გარეგინ მეორემ დალოცა დამსწრენი, მაღალი შეფასება მისცა ერევანში პოეზიის საერთაშორისო ფესტივალის მოწყობის ინიციატორებს და ფესტივალის დაწყებას მისი მონაწილეების მიერ ეჩმიაძინის დათვალიერებით.

ფესტივალის ფარგლებში შეიქმნა პოეზიის სკვერი, რომელშიც თითოეულმა მონაწილემ დარგო სფეროსებრი აკაცია, აგრეთვე, გაიხსნა მკითხველის ძეგლი დედაქალაქის ხნკო აპერის სახელობის ბიბლიოთეკაში. ფესტივალში მონაწილეობა მიიღო 50-ზე მეტმა ცნობილმა პოეტმა მსოფლიოს 30 ქვეყნიდან, მათ შორის ამერიკის შეერთებული შტატებიდან, იტალიიდან, ესპანეთიდან, რუსეთიდან, უკრაინიდან, ბელარუსიდან, საქართველოდან, ყაზახეთიდან, ირანიდან, ისრაელიდან, იორდანიიდან და ერთმა მონაწილემ თურქეთიდან.

ЛИТЕРАТУРНАЯ ГАЗЕТА

◎ წერილი რედაქციას

სამოცდაათ წელს გადაცილებული ასე ვხედავთ

ქართველი ხალხის მრავალსაუკუნოვანმა ურთულესმა ისტორიამ ბევრი საინტერესო და საამაყო ტრადიცია და წეს-ჩვეულება შემოგვინახა, რომლებიც ჩვენი ცხოვრების განუყოფელ ნაწილად იქცნენ.

მიცვალებულთა სულის მოსახსენებელი ჯანსაღი ტრადიციების დამკვიდრებისთვის

სამწუხაროდ, ჟამთა სიავის გავლენით ზოგიერთი წეს-ჩვეულება და რიტუალი შეიცვალა და დამახინჯებული სახე მიიღო. გვინდა, გამოვთქვათ ჩვენი მოსაზრება ერთ-ერთ მნიშვნელოვან წეს-ჩვეულებაზე, რაც მიცვალებულთა დაკრძალვას, სულის მოსახსენებელ რიტუალს შეეხება. აღსანიშნავია, რომ ჩვენი ეკლესია ყოველთვის დროულად და კომპეტენტურად ეხმაურება საზოგადოების მიერ დასმულ ყველა აქტუალურ პრობლემას. ამაზე მეტყველებს რამდენიმე წლის წინათ უწმინდესისა და უნეტარესის ილია მეორის მიერ გამოცემული მიცვალებულთა სულის მოსახსენებელი სპეციალური განჩინება, რომელშიც ყველაფერი დიდი სიფაქიზითა და სიზუსტითაა განსაზღვრული, მაგრამ, სამწუხაროდ, ბევრი მათგანი არ სრულდება წესისამებრ, ან სრულდება დიდი დამახინჯებით.

ჩვენმა საზოგადოებამ ჯერ კიდევ გასული საუკუნის სამოცდაათიან წლებში უარყო პანაშვიდებზე და დაკრძალვისას ძვირადღირებული გვირგვინების მიტანის ჩვეულება. თავიდან თითქოს ყველაფერი მოწესრიგდა, გვირგვინები გაქრა, მხოლოდ მოკრძალებული რაოდენობის ყვავილებით ამკობდნენ მიცვალებულებს, მაგრამ თანდათანობით ისევ გამოჩნდა ჯვრის ფორმის, ჩელტებით და წკნელებით გაწყობილი სხვადასხვა სახის ძვირადღირებული გვირგვინები, რაც, ჩვენი აზრით, ზედმეტობაა.

არ შეიძლება არ გვაწუხებდეს სასაფლაოების მოწყობისა და მოვლის პრობლემები. არ უნდა დავივიწყოთ, რომ სასაფლაო ყოველთვის ასახავს ხალხის კულტურის, წესრიგიანობის, ინტელექტის, გარდაცვლილი ახლობლისადმი პატივისცემის დონეს. ზოგიერთი ჩვენი თანამემამულე ხშირ შემთხვევაში სიცოცხლეში არ ზრუნავს ისე თავის ახლობელზე, როგორც გარდაცვალების შემდეგ. ნაცვლად იმისა, რომ საყვარელ ადამიანს მიუჩინოს მოკრძალებული სავანე, ცდილობს, სასაფლაო გადააქციოს თავისი ქონების საჯარო გამოფენის ადგილად. გაუმართლებელია საფლავზე ძეგლების აღმართვა, ძვირფასი მარმარილოთი და სხვა ატრიბუტებით მისი გადატვირთვა. ყოვლად მიუტევებლად მიგვაჩნია სხვადასხვა ღირსსახსოვარ დღეებთან დაკავშირებით, სასაფლაოზე პურმარილის მიტანა და სუფრის გაშლა.

წლების მატებასთან ერთად, სამწუხაროდ, იზრდება ცხოვრებიდან წასული ჩვენი ახლობლების და მეგობრების რიცხვი. ახალგაზრდული პერიოდისგან განსხვავებით, ამჟამინდელი ჩვენი განცდები ბევრად მძაფრია. განსაკუთრებით დამთრგუნველად მოქმედებს დიდ დარბაზში, მრავალრიცხოვანი სამგლოვიარო ქელეხი, სადაც რამდენიმე სასმისის შემდეგ ისეთი ვითარება იქმნება, რომ სუფრის ხელმძღვანელი ხშირად იძულებულია, ისარგებლოს მიკროფონით და გზადაგზა მოუწოდოს დამსწრეთ ყურადღებისკენ. ვფიქრობთ, რომ დადგა დრო პატივის მიგება მოხდეს მხოლოდ ახლობლების ძალიან ვიწრო წრეში, არა დარბაზში, არამედ ძირითადად ბინაში, სადაც გარდაცვლილის სული ტრიალებს. ბევრი, ალბათ, დაეთანხმება ამ მოსაზრებას, მაგრამ იბადება კითხვა მისი პრაქტიკულად განხორციელების თაობაზე, გვგონია, რომ ეს არც თუ ისე რთულია. ჩვენ, მაგალითად, გადავწყვიტეთ აღარ ვიყოთ მრავალრიცხოვანი სუფრის მონაწილე და სხვებსაც მოვუწოდებთ ამისკენ.

დარწმუნებული ვართ, რომ უმრავლესობის მიერ ამ მოსაზრების გაზიარების შემთხვევაში და მის შესაბამისად თითოეული ჩვენგანის პირადი ქმედებების შედეგად, მიცვალებულთა სულის მოსახსენებელი რიტუალები ძალიან მოკლე დროში მიიღებენ სასურველ სახეს.

თამაზ გაგუა,
ზაალ გენძეხაძე,
ჯემალ კუხალაშვილი,
ზაურ მესხიშვილი,
ბორის სარალიძე, ზაურ ჩიტიძე

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

◎ ძიუდო

ტრიუმფატორები

უნგრეთის დედაქალაქ ბუდაპეშტში ქართველმა ძიუდოისტებმა ძლევამოსილად დაასრულეს ევროპის ჩემპიონატი – ინდივიდუალურ ჩათვლაში სამი ოქროს, ამდენივე ვერცხლისა და ერთი ბრინჯაოს მედალი დაიმსახურეს, რასაც ასპარეზობის ბოლო დღეს გუნდური პირველი ადგილიც დაემატა.

გუნდურში ჩვენები პირველ წრეში ისვენებდნენ, მეორეში კი ლატვიელთა მძლეველ მასპინძლებს შეხვდნენ. ლაშა შავდათუაშვილმა (66) ამჯერადაც დაამარცხა ბენცე ზამბორი. ნუგზარ ტატალაშვილმა (73) ოლიმპიადის ვიცე-ჩემპიონ მიკლოშ უნგვარისთან წააგო. ავთანდილ ჭრიკიშვილმა (81), ვალერი ლიპარტელიანმა (90) და ადამ ოქრუაშვილმა (+90) წმინდად მოუგეს ლასლო ჩოკნიაის, გერგო ფოგასისა და მიკლოშ ცირჯენიცსის. საბოლოოდ ჩვენებმა 4:1 გიმარჯვეს. ქართველმა ფალავნებმა ნახევარფინალში ჰოლანდიას ასეთივე ანგარიშით სძლიეს.

შარშანდელ ევროპის ჩემპიონატზე საქართველოს ძიუდოისტებმა გუნდური ფინალური შეხვედრა რუსებს მოუგეს, ამჯერადაც გადამწყვეტ პაექრობაში ისინი დაუპირისპირდნენ ერთმანეთს. ბუდაპეშტშიც სრული უპირატესობა ჩვენების მხარეს იყო. ერთადერთი ორთაბრძოლა ოლიმპიურმა ჩემპიონმა ლაშა შავდათუაშვილმა წააგო. სამაგიეროდ, ამ მარცხისთვის ჯავრი მისმა თანაგუნდელებმა იყარეს ჩრდილოელ მეზობლებზე: რეხვიაშვილმა, ჭრიკიშვილმა, ლიპარტელიანმა და ოქრუაშვილმა ოთხი ქულა მოუტანეს თავის გუნდს და საქართველოს ნაკრები ისევ ავიდა კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე.

მსგავს წარმატებასთან ახლოს იყვნენ პირადი ასპარეზობის მესამე დღეს ვარლამ ლიპარტელიანი (90 კგ) და ადამ ოქრუაშვილი (+100), რომლებმაც წარმატებით განვლეს ოთხი წრე, მაგრამ გადამწყვეტი პაექრობები მათთვის გადაულახავი აღმოჩნდა: ლიპარტელიანი რუს კირილ დენისოვთან დამარცხდა, ხოლო ოქრუაშვილს გაფრთხილებებით (3:1) ოლიმპიურმა, მსოფლიოს და ევროპის ორგზის ჩემპიონმა ტედი რინერმა (საფრანგეთი) აჯობა. ყოველივეს მიუხედავად, ბუდაპეშტში ქართველ ძიუდოისტთა შეფასება მხოლოდ ერთი სიტყვით შეიძლება – ტრიუმფალური, რაც ახალგაზრდა მწვრთნელის ირაკლი უზნაძის დამსახურებაა. ბოლოს კი კიდევ ერთხელ შეგახსენებთ, რომ მადიართა ქვეყანაში ევროპის ჩემპიონები გახდნენ ამირან პაპინაშვილი (60), ლაშა შავდათუაშვილი (66) და ავთანდილ ჭრიკიშვილი (81), მეორე ადგილებზე გავიდნენ ნუგზარ ტატალაშვილი (73), ვარლამ ლიპარტელიანი (90) და ადამ ოქრუაშვილი (+100), ხოლო ზებედა რეხვიაშვილი (73) მესამე ადგილს დასჯერდა.

ლექსო ცინცაძე

◎ დარბაზბურთი

ყაზახურმა გაზმა თბილისში ამოხეთქა

წარმოიდგინეთ, ასეთი მძლავრი ფინანსური მფარველით ზურგგამაგრებულ გუნდს რომ მწვერვალის დასაპყრობად ხუთი ცდა დასჭირდება, სხვებმა რაღა უნდა თქვან.

ალმატის „კაირატზე“ მოგახსენებთ, რომელმაც, ბოლოსდაბოლოს, ნავსი გატეხა და პირველად მოიპოვა უეფას ფუტსალის თასი.

საამისოდ სატიტულო სპონსორის „ყაზტრანსგაზის“ ნაამაგარ კლუბს ძველი სახელის „კაინარის“ შეცვლა და ამჟამინდელი პრეზიდენტის კაირატ ორაზბეკოვის სახელის დარქმევა დასჭირდა, მიზანს კი ელიტურ კვარტეტში მეხუთედ გასვლით საქართველოს დედაქალაქში მიაღწია.

რაც შეეხება ოთხთა ფინალის მასპინძელ „იბერია სთარს“, მას ფორუმის დაწყებამდე ორიოდე კვირით ადრე მართლაც რომ სათავგადასავლო ჟანრის შესაბამისი სიუჟეტი გადახდა თავს. დიახ, მტერს თუ უსურვებ კაცი, რომ უდიდესი მნიშვნელობის დატვითვის მქონე ტურნირის წინ უკანასკნელი წლების წარმატებების სულისჩამდგმელ ბრაზილიელ მწვრთნელ სერჟიო ბენატისა და მის მიერ რუდუნებით შექმნილი ანსამბლის ოთხ სოლისტს დაემშვიდობო და მათ ნაცვლად შეუთამაშებელი და, პირდაპირ უნდა ითქვას, ნაკლები კვალიფიკაციის ლეგიონერებით შეივსო დანაკლისი. ასე რომ, სამაგალითო მეცენატის ავთანდილ წერეთლის მიერ ფეხზე დაყენებულ და ევროპულ მარაქაში გარეულ იბერიელთა ფიასკო მოვლენათა ლოგიკურ განვითარებად უნდა მივიჩნიოთ.

ნახევარფინალები

„იბერია სთარი“ – მოსკოვის „დინამო“ 2:5,

„კაირატი“ – „ბარსელონა“ 5:4.

მატჩი III ადგილისთვის

„იბერია სთარი“ – „ბარსელონა“ 1:4.

ფინალი

„კაირატი“ – მოსკოვის „დინამო“ 4:3.

დავძენთ, რომ ალმატელთა ღირსებას ყოფილი იბერიელები, ჩვენი ქვეყნის მოქალაქენი ბეტაო და ჟუანი იცავდნენ.

ისტორიიდან

გამარჯვებულნი: „ინტერვიუ“ (ესპანეთი) – 3, „კასტელონი“ (ესპანეთი) – 2, „ბარსელონა“ (ესპანეთი), „მონტესილვანო“ (იტალია), „ბენფიკა“ (პორტუგალია), „ვიზ-სინარა“ (რუსეთი), „დინამო“ (რუსეთი), „შარლერუა“ (ბელგია), „კაირატი“ (ყაზახეთი).

როსტომ რაჭველიშვილი

◎ წყალბურთი

თასი შევინარჩუნეთ

წლეულს მესამედ გათამაშდა სახელოვანი წყალბურთელის, ოლიმპიური თამაშების ბრინჯაოს პრიზიორ ნოდარ გვახარიას თასი ახალგაზრდებს შორის. ამჯერად მთავარი პრიზისთვის საქართველოს, ყაზახეთის, ისრაელისა და ჩეხეთის 1996-1997 წლებში დაბადებული წყალბურთელები იბრძოდნენ. სპეციალისტები ფავორიტებად საქართველოს და ყაზახეთის ნაკრებებს ასახელებდნენ. არც შემცდარან – ასპარეზობის სტარტზე ამ გუნდების დაძაბული და საინტერესო პაექრობა მასპინძლებმა ერთი ბურთის სხვაობით მოიგეს – 9:8. საქართველოს ნაკრებმა (ჭოლოკავა, ჩიკვაიძე, რევია, იმნაიშვილი, გაბადაძე, ბითაძე, ჯახაია, ზაქარეიშვილი, ჯანჯღლავა, მაგრაქველიძე, მოსაშვილი, მარგველაშვილი, რაზმაძე, მწვრთნელები – პოპოვიჩი, ბაქრაძე) „ოლიმპიკის“ აუზში მომდევნო ორთაბრძოლებიც მოიგო და თასი შეინარჩუნა.

ასპარეზობის მე-2 ტურში ჩვენი ბიჭები ისრაელის გუნდს დაუპირისპირდნენ, რომელმაც სტარტზე ჩეხეთის სუსტ გუნდს მოუგო. მათ ამ გუნდის დასამარცხებლად დიდი ჯაფა არ დასდგომიათ – 17:7. ამ პაექრობაში თავი გამოიჩინა ჯახაიამ, რომელმაც 7 გოლი გაუტანა მეტოქეს. ბოლო მატჩი აუტსაიდერ ჩეხეთთან იოვან პოპოვიჩის შეგირდების სრული უპირატესობით წარიმართა, რაზეც ანგარიშიც მეტყველებს – 26:3. დანარჩენი შეხვედრები ასე დამთავრდა: ყაზახეთი-ჩეხეთი 10:3, ისრაელი-ჩეხეთი 15:5, ისრაელი-ყაზახეთი 5:10.

საბოლოოდ გუნდები ასეთი თანმიმდევრობით განაწილდნენ: 1. საქართველო (9 ქულა), 2. ყაზახეთი (6), 3. ისრაელი (3), 4. ჩეხეთი (0).

კარგია, რომ ჩვენმა ბიჭებმა სამივე შეხვედრა მოიგეს. ევროპის პირველობის შესარჩევი ტურნირისთვის ეს წარმატება მათ ამაღლებულ განწყობას შეუქმნის. „ოლიმპიკში“ 9 მაისიდან საქართველოს ნაკრები კონტინენტის პირველობის ფინალურ ეტაპზე მოსახვედრად გერმანიას, ჰოლანდიას, სლოვაკეთსა და მოლდოვას დაუპირისპირდება.

გივი გაგუა

◎ სანთელი

შოთა ზუკაკიშვილი

გარდაიცვალა სსრ კავშირისა და საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი ჭიდაობა სამბოში, საერთაშორისო კლასის აღიარებული არბიტრი – „ოქროს სასტვენისა“ და ოქროს მედლის მფლობელი, ფილას მსაჯთა კოლეგიის თავმჯდომარის პირველი მოადგილე, საქართველოს სამბოს ფედერაციის მსაჯთა კოლეგიის უცვლელი თავმჯდომარე 1995 წლიდან და ფედერაციის პრეზიდიუმის წევრი, საქართველოში სამბოს ერთ-ერთი ფუძემდებელი, ღირსების ორდენის კავალერი, სპორტის დამსახურებული მუშაკი, სპორტის ოსტატი, ათობით სახელოვანი ფალავნის აღმზრდელი შოთა ზუკაკიშვილი.

დაიბადა 1926 წელს თბილისში. სამი წლისა დაობლდა.13 წლის მოზარდს საჭიდაო არენაზე გზა ძველმა მოჭიდავემ გიორგი გარეკახელმა (ხოსიტაშვილი) გაუკვალა.

შემდეგ თავისუფალ ჭიდაობაში ცნობილი მწვრთნელის ვახტანგ კუხიანიძის მეთვალყურეობით იწრთობოდა, სამბოში კი დაოსტატება ქრისტეფორე ნინიაშვილის ხელმძღვანელობით განაგრძო. კარიერა წარმატებით დაიწყო, საბჭოთა კავშირის ვიცე-ჩემპიონი გახდა, მაგრამ ადრეულ ასაკში მიღებულმა ტრავმამ დაღი დაასვა მთელ მის სპორტულ ცხოვრებას, სარბიელს ჩამოშორდა და სამწვრთნელო და სამსაჯო ასპარეზზე გადავიდა. ჭიდაობის სიყვარულითა და დაუღალავი შრომით კაცური კაცისა და დიდებული სპეციალისტის სახელი დაიმკვიდრა.

ხშირად იხსენებდა ხოლმე ერთ ფაქტს: სამბისტთა პირველ მსოფლიო ჩემპიონატს თეირანში ირანის შაჰი ესწრებოდა და პირველივე ორთაბრძოლის მსაჯობის პატივი შოთას ხვდა წილად. სხვათა შორის, ლეგენდარული ლევან თედიაშვილის სამბოში გამოყვანაც მისი ინიციატივით გადაწყდა და ფინალის წინ ჩოხაც ლევანს მან ჩააცვა (გახსოვთ, ალბათ, თეირანიდან ლევან თედიაშვილი „თავისუფალთა“ და სამბისტთა ორი ოქროს მედლით დაგვიბრუნდა).

ბოლოს მძიმე სენი შეეყარა, მაგრამ ავადმყოფობა ასე უცებ ვერ წააქცევდა ამ მუხასავით ძლიერ კაცს – სამიოდ კვირის წინათ მეუღლის გარდაცვალებამ შეარყია სულიერად და ფიზიკურად.

წავიდა ჩვენგან „კახეთის ლომი“ (ასე ეძახდნენ სიყვარულით), უებრო თამადა და თან წაიყოლა თავისი ქვეყნისა და ჭიდაობის უანგარო სიყვარული.

საქართველოს ვეტერან მოჭიდავეთა საძმო

◎ ფეხბურთი

აქეთურ-იქითური

ეროვნული ჩემპიონატის ფინიშამდე სამი ტურით ადრე ოქროს მედლების მფლობელთა ვინაობა, პრაქტიკულად, ვადამდე გადაწყდა.

ეს მას შემდეგ მოხდა, რაც ერთბიროვნულმა ლიდერმა თბილისის „დინამომ“ ალვაროს მიერ 87-ე წუთზე გატანილი ეფექტური გოლით გორში უახლოეს მდევარ „დილას“ სძლია – 1:0 და უკვე 7-ქულიანი ჰანდიკაპით ჩამოიტოვა იგი.

დუშან უჰრინის გუნდი ტიტულს ოფიციალურად, ალბათ, 4 მაისს დაიბრუნებს, როცა ქუთაისის „ტორპედოს“ უმასპინძლებს.

დანარჩენი შედეგები. I-VI ადგილები. „ტორპედო“ – „ზესტაფონი“ 1:0, „ჩიხურა“ – „ბაია“ 2:1.

სატურნირო მდგომარეობა: „დინამო“ – 69, „დილა“ – 62, „ტორპედო“ – 58, „ჩიხურა“ – 54, „ზესტაფონი“ – 39, „ბაია“ – 35 ქულა.

* * *

იტალია. „ტორინო“ – „იუვენტუსი“ 0:2, „მილანი“ – „კატანია“ 4:2, „პესკარა“ – „ნაპოლი“ 0:3, „პალერმო“ – „ინტერი“ 1:0, „სამპდორია“ – „ფიორენტინა“ 0:3.

ესპანეთი. „ბილბაო“ – „ბარსელონა“ 2:2, „ატლეტიკო“ – „რეალი“ 1:2, „სოსიედადი“ – „ვალენსია“ 4:2, „ესპანიოლი“ – „გრანადა“ 0:1, „მალაგა“ – „ხეტაფე“ 2:1.

ინგლისი. „არსენალი“ – „მანჩესტერი“ 1:1, „ჩელსი“ – „სუონსი“ 2:0, „ნიუკასლი“ – „ლივერპული“ 0:6, „სიტი“ – „ვესტ ჰემი“ 2:1, „უიგანი“ – „ტოტენჰემი“ 2:2.

გერმანია. „ბაიერნი“ – „ფრაიბურგი“ 1:0, „ფორტუნა“ – „ბორუსია“ 1:2, „შალკე“ – „ჰამბურგი“ 4:1, „ლევერკუზენი“ – „ვერდერი“ 1:0, „ფიურტი“ – „ჰანოვერი“ 2:3.

გიორგი შოთაძე

◎ კალათბურთი

ერთი უცნოები

ეტყობა, ზოგ-ზოგიერთებმა ნაადრევად ჩამოწერეს „არმია“, როცა ქვეყნის ექს-ჩემპიონობა „გამოუწერეს“.

დიახ, ლეგიონერთაგან დაცლილმა სუპერლიგის ორი უკანასკნელი სეზონის გამარჯვებულებმა მშვენივრად გაართვეს თავი მდევრის როლს, ფსიქოლოგიური სიმტკიცე გამოამჟღავნეს და გამყრელიძე – შარაბიძე – ფარღალავას ტრიოს ძალისხმევით მეოთხედფინალური სერია 2:1 მოუგეს თბილისის „დინამოს“, რომელმაც, თავის მხრივ, ჩინებული შთაბეჭდილება დატოვა და საარაკო ბრძოლისუნარიანობით დაგვამახსოვრა თავი.

განვლილი შეხვედრების მსგავსად, დასკვნითი მატჩიც უმწვავესი სცენარით წარიმართა და მისი ბედი ერთმა ქულამ გადაწყვიტა – 68:67 თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენელთა სასარგებლოდ.

პლეი-ოფის მორიგ რაუნდში კოტე ტუღუშის ბიჭები 8, 9, 11 და, საჭიროების შემთხვევაში, 12 და 14 მაისს რეგულარული პირველობის საუკეთესო კლუბ „ოლიმპს“ შეხვდებიან.

რაც შეეხება მეორე წყვილს, შსს აკადემიის გუნდი „რუსთავისა“ და „ქუთაისის“ დუელში უძლიერესს ელის. მათ ბრძოლაში ანგარიში ჯერჯერობით თანაბარია – 1:1 (სხვათა შორის, მეტოქეებმა აქამდე ერთმანეთს სტუმრად ერთნაირი შედეგით – 79:75 სძლიეს) და დღეს დამატებითი თამაში რუსთავში გაიმართება.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

◎ პატივგება

თეატრის გმირი

თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის ბიბლიოთეკას ღვაწლმოსილი თანამშრომლის, ამაგდარი პიროვნების თინათინ იოსებაძის სახელი მიენიჭა. თეატრის ძველ თანამშრომლებს და ოპერის მოყვარულთ კარგად მოეხსენებათ ქალბატონ თინათინის დამსახურება. იგი 46 წლის მანძილზე მუშაობდა ოპერის თეატრში, აქედან 16 წელი სანოტო ბიბლიოთეკის გამგე იყო.

1973 წელს ოპერის თეატრში მომხდარი ხანძრის შედეგად, როდესაც განადგურდა შენობა, დეკორაციები, კოსტიუმები, სხვა თეატრალური ატრიბუტიკა, ცხადია, სერიოზული საფრთხის წინაშე აღმოჩნდა საოცრებით გადარჩენილი სანოტო ბიბლიოთეკის უნიკალური არქივი, რომელიც სცენის ქვეშ მდებარეობდა და რომელშიც ინახებოდა საოპერო და საბალეტო პარტიტურები, კლავირები, საორკესტრო პარტიები, ძველი და ახალი რეპერტუარის ჩანაწერები. ვინაიდან არქივის ირგვლივ ყველაფერი დამწვარი იყო, ჩამონგრევის საშიშროების გამო არქივში ჩასვლა ძალზე სარისკო გახლდათ და შესაბამისად, თეატრის დირექცია არქივში შესვლისგან თავს იკავებდა.

და მაინც, თინათინ იოსებაძე თოკით ეშვებოდა საცავში და ორი კვირის განმავლობაში ამოჰქონდა იქიდან უძვირფასესი მუსიკალური მასალა, აშრობდა, ახარისხებდა, უვლიდა. სწორედ ქალბატონ თინათინის გმირობის მეოხებით გადარჩა და ქვეყანას შეუნარჩუნდა თეატრის სანოტო ბიბლიოთეკის სამუზეუმო მნიშვნელობის კოლექცია, მათ შორის, ქართველ კომპოზიტორთა მემკვიდრეობა.

მის თავდადებას იმხანად ქართული მედიაც გამოეხმაურა და ქალბატონ თინათინს დამსახურებულად „თეატრის გმირიც“ კი შეარქვა.

სწორედ ამ დამსახურების უკვდავყოფის მიზნით მიენიჭა თეატრის სანოტო ბიბლიოთეკას თინათინ იოსებაძის სახელი, ხოლო ოპერისა და ბალეტის თეატრის რეკონსტრუქციის დასრულების შემდეგ, თეატრის მუზეუმშიც განთავსდება ამ ღირსეული პიროვნების სურათი მისი ღვაწლის შესაბამისად.

თამარ კახეთელიძე

◎ ინფორმაცია

წმინდა ცეცხლს იერუსალიმიდან ჩამოაბრძანებენ

წმინდა ცეცხლის ჩამოსაბრძანებლად საქართველოდან იერუსალიმში მომლოცველთა ჯგუფი გუშინ გამთენიისას გაემგზავრა.

120-კაციან მომლოცველთა ჯგუფში სასულიერო პირებიც არიან. ჯგუფს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდის ხელმძღვანელი ლაშა ჟვანია ხელმძღვანელობს. მომლოცველები წმინდა ცეცხლს თბილისში 4 მაისს, სააღდგომო ლიტურგიის დაწყებამდე ჩამოაბრძანებენ. აეროპორტიდან წმინდა ცეცხლს სამებაში მიაბრძანებენ, საიდანაც იგი ტაძრებში გავრცელდება.

წმინდა ცეცხლს იერუსალიმიდან საქართველოში ქართველო მომლოცველები 1995 წლიდან ჩამოაბრძანებენ.

მოციქულთა და წმინდა მამათა მოწმობით, უნივთო ცეცხლმა მაცხოვრის საფლავი ჯერ კიდევ აღდგომისას გააბრწყინა. იერუსალიმის აღდგომის ტაძარში ზეციური ცეცხლი პირველად III საუკუნეში გადმოვიდა. გადმოცემით, სააღდგომო ლიტანიობაზე კანდელში ზეთი შემოაკლდათ და პატრიარქმა ნარცისმა კურთხევა გასცა, მათში სილამის ემბაზის წყალი ჩაესხათ. როდესაც პატრიარქის კურთხევა შეასრულეს, ზეციდან ცეცხლი გადმოვიდა და კანდელები აანთო, რომლებიც მთელი ლიტანიობის განმავლობაში არ ჩამქრალა.

ინტერპრესი

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის

განცხადება

2013 წლის 26 აპრილს საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიაში ჩატარდა აკადემიის საერთო კრება, რომელმაც ფარული კენჭისყრით, ხმათა უმრავლესობით საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრებად (აკადემიკოსებად) აირჩია: აგრონიადაგმცოდნეობა, აგროეკოლოგია – ჯუმბერ ონიანი; მიწათმოქმედება – გივი ცაგურიშვილი; მეხილეობა – გივი ბადრიშვილი; სელექციამეთესლეობა – ვაჟა კვალიაშვილი; ზოოტექნიკა – ჯემალ გუგუშვილი; ვეტერინარია – თენგიზ ყურაშვილი; სასმელების ტექნოლოგია (ალკოჰოლიანი და უალკოჰოლო) – გურამ პაპუნიძე; სოფლის მეურნეობის ეკონომიკა – თამაზ კუნჭულია.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიური საბჭო ულოცავს კონკურსში გამარჯვებულებს, უსურვებს მრავალ წარმატებებს სამეცნიერო, პედაგოგიურ და საზოგადოებრივ საქმიანობაში.

ეპიტაფია

საქართველოს კიდევ ერთი ულამაზესი ვაჟკაცი დააკლდა

გურამ (გუჭუ) ბერიძის ხსოვნას

საქართველოს მხცოვან მოღვაწეთა რიგებს კიდევ ერთი ღირსეული მამულიშვილი გამოაკლდა. გარდაიცვალა **გურამ (გუჭუ) ბერიძე,** ადამიანი, რომელმაც თავისი ნიჭიერებით, მაღალი პიროვნული თვისებებით თაობებს დაუტოვა ზნეობის და კაცთმოყვარეობის, მეგობრობის დაუვიწყარი მაგალითი.

გურამ ბერიძე 1936 წელს მეოთხე შვილად დაიბადა საქართველოს მიწათმოქმედების პირველი კომისრის ვარლამ ბერიძის ოჯახში და ერთი წლისა უკვე არა მხოლოდ მამითობლობას, არამედ რეპრესირებული ოჯახების უმძიმეს და უმწარეს უბედობას ეზიარა. ვინ მოთვლის რამდენი მორალური და მატერიალური ტკივილი ერგო წილად ოთხ ობოლს. მათნაირები, საუბედუროდ, იმდროინდელ საქართველოში მრავლად იყვნენ. ამავდროულად იყო ურთიერთგატანის, გადარჩენის ძალა. ამ თვალთახედვით განსაკუთრებულია თბილისის ერთი პატარა უბნის – ფალიაშვილის ქუჩის ისტორია, რომელმაც ბევრად განაპირობა ძმების – ბიჭიკო და ბუჭუ ბერიძეების კაცურკაცებად ჩამოყალიბება.

ამ პატარა ქუჩის ბიჭებს და გოგონებს საოცარი თვისებები ჰქონდათ – ერთმანეთის პატრონობა, ერთმანეთის გაჭირვების გათავისება, სიდუხჭირისა თუ სიხარულის გაზიარება, და გასაკვირიც არ არის, რომ გურამ ბერიძე, ამგვარი თვისებებით გამორჩეული, ვაკის (მაშინდელი ორჯონიკიძის) რაიონის ახალგაზრდობამ თავის ხელმძღვანელად აირჩია. შემდგომ მას ამავე რაიონის პარტიის რაიკომშიც ხელმძღვანელ სამუშაოს ანდობენ და ბევრს აოცებდა ახალგაზრდა კაცის საქმისადმი არა მხოლოდ ერთგულება, არამედ კომპეტენტურობა, ადამიანებთან საჭირო ურთირთგაგების გარემოს შექმნა, უმაღლესი ზნეობისა და, რაც მთავარი იყო, კაცთმოყვარეობა და ადამიანობა.

გურამ ბერიძის ცხოვრება ერთი დიდი მონატრებაც იყო. მას მოსვენებას არ აძლევდა უცნობი მამის, წამებული კაცის ხსოვნის დამკვიდრება. ამით იყო განპირობებული, რომ მან სწავლა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში გადაწყვიტა და 1963 წელს სწავლული აგრონომის კვალიფიკაციით წარმატებით დაამთავრა. უდავოა ისიც, რომ იმ დროისათვის გურამ ბერიძის თეორიული ცოდნა და პრაქტიკული გამოცდილება იშვიათი და საჭიროც იყო. მას თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომი ნიშნავს ქალაქის მწვანე მშენებლობის და საბაღო-საპარკო მეურნეობის საწარმოო სამმართველოს უფროსად, რომელიც სულ მალე საწარმოო გაერთიანებად გარდაიქმნა და ესოდენ ახალი და საპასუხისმგებლო გაერთიანების დირექტორად სწორედ გურამ ბერიძე დაინიშნა.

ეს ის წლებია, როდესაც უდიდესი ძალისხმევით იქმნებოდა ლამაზი იდეა თბილისის ბაღნარად ქცევის შესახებ. ყვავილების დღესასწაული, შეჯიბრი რაიონებში გაშენებული სკვერების მოწყობაზე, მოყვარული მეყვავილეების მიგნება და გამოვლენა და რამდენი სხვა სიკეთე. არავინ არ ეძიებდა ყვავილებს ჰოლანდიაში, არ ხარჯავდა მილიონებს ჩამოტანილი ხეების ნერგებში. იყო საქართველოს ულამაზესი ვაჟკაცი, ულამაზესი ბინადარი, ულამაზესი ოჯახი, ულამაზესი ბავშვები. ეს ის ადამიანი, ეს ის ოჯახი, ეს ის ბავშვები, ეს ის ბინადარი, ეს ის ულამაზესი ადამიანი, ეს ის ულამაზესი ოჯახი, ეს ის ულამაზესი ბავშვები, ეს ის ულამაზესი

დაიჯესტი

ძველი სიყვარულის სიხარული

არგენტინის დედაქალაქის ბუენოს-აირესის ფლორესის უბანში მცხოვრებ ბიჭუნა ხორხე მარიო ბერგოლიოს მეზობელმა გოგონამ სიყვარულზე უარი უთხრა, რის გამო მან მღვდლობა გადაწყვიტა. ამის შედეგად კათოლიკურ სამყაროს ახალი რომის პაპი ფრანცისკ I მოევლინა.

მოზარდები ხორხე და ამალია ქუჩაში ხშირად ერთად თამაშობდნენ, ერთ დღეს კი გოგონამ წერილი მიიღო, რომელშიც სახლი იყო დახატული — შეყვარებული ბიჭუნა მათთვის ასეთის შეძენას აპირებდა.

„12-13 წლისანი ვიყავით, მეტის არა. იგი არაჩვეულებრივი, წესიერი ბიჭი იყო. მისგან მხოლოდ ერთი წერილი მივიღე, რომელიც მამაჩემმა დაჭმუჭნა და სახეში მომიგდო. წერილში ნათქვამი იყო: „ჩვენ დავქორწინდებით და მე შენთვის თეთრ სახლს ვიყიდი, სადაც ერთად ვიცხოვრებთ“. ხორხემ მითხრა, რომ თუ თანხმობით არ ვუპასუხებდი, იგი მღვდელი გახდებოდა, მისდა საბედნიეროდ, მე უარით ვუპასუხე“, — ასე გამოხატავს მეგობრის გამო სიხარულს სინიორა ამალია დამონტე.

მას შემდეგ ისინი ერთმანეთს არ შეხვედრიან. სინიორა დამონტე ძველებურად იმ სახლის მეზობლად ცხოვრობს, სადაც ბერგოლიო გაიზარდა. ჟურნალისტები კი აღნიშნავენ, რომ, შესაძლოა, დონა ამალია არ ყოფილა მომავალი პონტიფიკოსის ერთადერთი სატრფო: 2010 წელს ერთ-ერთ ინტერვიუში მაშინდელმა კარდინალმა ბერგოლიომ აღიარა, რომ ახალგაზრდობაში მეგობარი ქალიშვილი ჰ ყავდა, რომელთანაც ტანგოს ცეკვა უყვარდა. მაშინ იგი 12 წლისა ნამდვილად არ იქნებოდა.

ისე კი ღვთისმსახურება ბერგოლიომ 1957 წელს გადაწყვიტა, როცა მძიმე პნევმონიას სასწაულებრივად გადაურჩა და მხოლოდ მარჯვენა ფილტვის ნაწილი ამოკვეთეს. საეკლესიო წოდება მას 1969 წელს მიენიჭა.

ბედნიერების მომტანი სიმაღლე

საუკუნეთა მანძილზე ქალებს ინტუიციურად მაღალი მამაკაცები იზიდავდნენ, მამაკაცებს კი პატარა ტანის ქალბატონები ხიბლავდნენ. ამჟამად მეცნიერებმა დაამტკიცეს, რომ ოჯახური ბედნიერება, თურმე, დიდწილად მართლაც რჩეულის სიმაღლეზე ყოფილა დამოკიდებული.

მეცნიერებმა მართლაც შეძლეს იმის დადგენა, რომ ბედნიერ წყვილში სიმაღლეში განსხვავება უნდა იყოს, ოღონდ ვერაფრით შეთანხმდნენ, თუ რამდენი სანტიმეტრი უნდა იყოს იდეალური სხვაობა, თუმცა კი, რამდენიმე ათასი წყვილი გამოიკვლიეს. მაგალითად, ერთ-ერთი პოლონელი ანტროპოლოგი აცხადებს, რომ იდეალურ წყვილში მამაკაცი ქალზე 1,09-ჯერ უფრო მაღალი უნდა იყოს. ამ აზრს არ ეთანხმება გრონინგენის (ნიდერლანდი) უნივერსიტეტის მკვლევართა ჯგუფი, რომელთა აზრით, მამაკაცი ქალზე 20 სანტიმეტრით მაღალი უნდა იყოს. ამერიკელ მეცნიერთა აზრით კი, სხვაობა 8 სანტიმეტრით უნდა იყოს.

აზრთა სხვადასხვაობის მიუხედავად, ერთი რამ სავსებით ცხადია: თეორია პრაქტიკაში მშვენივრად მუშაობს. მაგალითად, თუნდაც ორი ცნობილი ბრიტანელი წყვილის — პრემიერ-მინისტრ ტონი ბლერისა და ფეხბურთელ დევიდ ბექჰემის მოყვანა შეიძლება: ორივე მათგანი ცოლზე 15 სანტიმეტრით მაღალია, ხოლო ტანმაღალ ჰოლივუდელ ვარსკვლავ ნიკოლ კიდმანს შედარებით ტანმორჩილ ტომ კრუზთან არ გაუმართლა.

ამ მხრივ მეტად საინტერესოა, ასე ვთქვათ, „საველე დაკვირვებათა“ შედეგი. ბავშვთა განვითარების შემსწავლელი ეროვნული ცენტრის (დიდი ბრიტანეთი) დოქტორ დენიელ ნეთლის ჯგუფის წევრები მრავალი წლის მანძილზე რამდენიმე ასეული წყვილის ჯანმრთელობასა და სოციალურ მდგომარეობას აკვირდებოდნენ. მათი დასკვნით, ტანმაღალი მამაკაცები უფრო ხშირად ხდებოდნენ მამები, თანაც მეუღლეები, როგორც წესი, მათზე დაბალი ქალები იყვნენ. თავის მხრივ, ტანმოჩილი ქალები უფრო ხშირად თხოვდებოდნენ ბედნიერად.

— ტანმაღალი მამაკაცები სექსუალურად უფრო მიმზიდველები არიან, — ასე ხსნის ამ ფენომენს დოქტორი ნეთლი. — მაგრამ თავად ასეთ მამაკაცებს მათზე ტანმორჩილი ქალები ურჩევნიათ, იმიტომ, რომ როგორც მამები გრძნობენ, ტანდაბალ ქალებს ბავშვთა შობის უფრო მეტი უნარი აქვთ. ამას მედიკოსებიც ადასტურებენ: ტანმორჩილი ქალები სქესობრივად უფრო ადრე მწიფდებიან, ხოლო ტანმაღლებს სიმაღლეში გაზრდაში უფრო მეტი ენერგია ეხარჯებათ.

ქალებს კი ტანსრული და მაღალი მამაკაცები ორი მიზეზით მოსწონთ: ერთი, რომ ოდითგანვე დადგინდა, რომ ზორბა მამრი უფრო უკეთესი მონადირე და საკვების მშოვნელია, მეორეც ის, რომ წლიდან წლამდე ადამიანები უფრო მაღლები ხდებიან. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ევოლუციური თვალსაზრისით მაღალი ადამიანები უფრო პროგრესულები არიან. ქალბატონებს კი შთამომავლობის ყოლა ყოველთვის უფრო სრულყოფილი მამაკაცებისგან სურთ.

სიქველის მადლი

მსოფლიოში დღესდღეობით დაახლოებით ათასხუთასი მილიარდერია, რომელთაგან, ბოლო მონაცემებით, უმდიდრესთა პირველი ათეულის წევრის ბილ გეიტსისა და უორენ ბაფეტის მიერ დაარსებულ საქველმოქმედო კომპანია „ჩუქების ფიცსში“ (Giving Pledge) 105 კაცია გაერთიანებული.

ამ ხალხს პირობა აქვს დადებული, რომ თავიანთი კაპიტალის არანაკლებ 50 პროცენტისა, საქველმოქმედო მიზნებისთვის დახარჯავენ. წლეულს მათ რიგებში თორმეტი ახალბედა წევრი გაჩნდა.

აღნიშნული პროგრამა 2010 წელს შეიქმნა, მისი მიზანია მდიდარ ადამიანთა და მათი ოჯახების წევრთა ფილანტროპიული მიზნებისთვის ქონების ნაწილის გაღება.

ჩვენი პრესდაიჯესტი

ყოფილი მოსამართლე კოტე კუბლაშვილს ამხელს

უზენაესი სასამართლოს ყოფილი მოსამართლე ლალი ლაზარაშვილი კოტე კუბლაშვილს ზეწოლაში ამხელს — როგორ აიძულებდნენ მოსამართლეებს მორჩილებას, რას ითხოვდნენ თავმჯდომარეები, ვისგან იღებდნენ დირექტივებს, რა გაიდლაინებით სარგებლობდნენ და როგორ უსწორდებოდნენ „ურჩებს“.

„კვირის პალიტრა“

გამორიცხვის მეთოდი: რომელ მინისტრში შეეპარა ეჭვი პრემიერს

უახლოეს მომავალში მთავრობაში პირველი საკადრო ცვლილებები განხორციელდება და ერთ-ერთი მინისტრი თანამდებობას დატოვებს. ამისთვის საზოგადოებას პრემიერ-მინისტრი უკვე ამზადებს, თუმცა, ჯერჯერობით, არ ასახელებს იმ მინისტრის ვინაობას, რომელსაც პოსტის დატოვება მოუწევს. პოლიტოლოგების ვარაუდი ამასთან დაკავშირებით ორაზროვანია. ნაწილი ფიქრობს, რომ პრემიერის „რისხვა“, შესაძლოა, თავდაცვისა და სახელმწიფო მინისტრებს დაატყდეთ, ნაწილი კი უფრო მთავრობის ეკონომიკურ გუნდში ვარაუდობს ცვლილებებს.

„რეზონანსი“

„ძართული ოცნების“ მხარდაჭერამ დაახლოებით 35 პროცენტით იკლო“

— გამოუთვლია ნაძალადევის რაიონში „ნაციონალებიდან“ არჩევნებწაგებულ დეპუტატობის კანდიდატ პაპუნა დავითაიას, — ეს არის სერიოზული გზავნილი მოსახლეობის მხრიდან, რომ მთავრობამ დაამთავროს გამარჯვებისგან გამოწვეული ტკბობა და მიხედოს საქმეს. ჩვენ ვნახეთ, რომ „ნაციონალური მოძრაობის“ რეიტინგი 15-დან 21 პროცენტამდე მერყეობს. იმ მუქარისა და ზეწოლიდან გამომდინარე, რაც ბოლო პერიოდში იყო ჩვენზე, ძალიან კარგი შედეგია.

...შეგახსენებთ, რომ შაბათს სამივე საარჩევნო ოლქში — ნაძალადევში, სამტრედიასა და ბაღდათში „ქართული ოცნების“ კანდიდატებმა გაიმარჯვეს.

„ახალი თაობა“

სად დანიშნა ბიძინა ივანიშვილმა გია ხუხაშვილი?

პრემიერ-მინისტრმა ბიძინა ივანიშვილმა ქვეყნის საგარეო პოლიტიკის საკითხებში პირად მრჩევლად, საქართველოს განვითარების კვლევითი ინსტიტუტის დამფუძნებელი, ექსპერტი გია ხუხაშვილი დანიშნა. ხუხაშვილი კომენტარისგან თავს იკავებს. ცნობილია, რომ რამდენიმე ხნის წინათ მან სააქციო საზოგადოება რკინიგზის სამეთვალყურეო საბჭოში ასევე მრჩევლის პოსტი დაიკავა.

„ძრონიკა“

რეკლამა გ. ახვლედიანის ქ. №19.
„საქართველოს რესპუბლიკაში“
299-62-77; 599 32-85-76.

ანეკდოტები

ვერ ვიტან საჭის ტრიალს, მაგრამ რა ვქნა, მანქანა მჭირდება სამსახურში წასასვლელად.

ვერც ჩემს სამსახურს ვიტან, მაგრამ რა ვქნა, სამუშაო მჭირდება მანქანის საყიდლად გამოტანილი სესხის გადასახდელად.

* * *

ოცნებობთ, რომ როგორმე წონაში დაიკლოთ, მაგრამ არ იცით, როგორ და სურვილი ვერ აგიხდენიათ? დაგვირეკეთ უფასო ტელეფონის ნომერზე 25977299 და ჩვენ გითანაგრძნობთ!

* * *

ძალი ორი ბოროტებიდან ჭკვიანს ირჩევს, მამაკაცი — ლამაზს.

* * *

პარლამენტის უმცირესობის ფლიგელის აფთიაქში ძალიან დიდი მოთხოვნილებაა სინდისის ტაბლეტებზე.

კადრი



ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა სარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა-1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს-323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ძობულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com